1961/3



# საქართველოს ქალი

№ 11 ნოემბერი 1961 წ.





მოსკოვი, კრემლი, ყრილობათა სასახლე. სკკპ XXII ყრილობის სხდომათა დარბაზში.

# ნათელი მომავლისათვის

ჩვენი სამშობლოს მშრომელები, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობას, რომელიც მიმდინარეობდა ქალაქ მოსკოვში 17-31 ოქტომბერს.

ყრილობის შესახვედრად ემზადებოდნენ ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანები: მუშები, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, რომელთა პატრიოტულ ინიციატივასა და შრომით ენთუზიაზმს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ენთუზიაზმი კიდევ უფრო გაძლიერდა ყრილობის მუშაობის დღეებში. ყოველი კუთხიდან მოსკოვისაკენ—კრემლისაკენ, ყრილობის სახელზე შეუნელებლად მიდიოდა მშრომელთა პატაკები ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების შესახებ, რითაც კვლავ და კვლავ გამოვლინდა პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა, მშრომელთა ერთსულოვანი დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის საანგარიშო მოხსენებაში მკაფიო ანალიზი გაუკეთა იმ დიდ მუშაობას, რომელიც გასწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ქვეყნის საშინაო საქმიანობასა და საგარეო პოლიტიკის დარგში ამ უკანასკნელ წლებში, ურყევად და თანმიმდევრულად ატარებდნენ რა ცხოვრებაში სკკპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებს.

ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულ კურსს და მოიწონა ღონისძიებები მიმართული ყველა სახელმწიფოსთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაძლიერებისაკენ. სწორედ ეს კურსი, ეს პოლიტიკა შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს, მას მხარს უჭერენ სოციალიზმის ქვეყნების მოძმე პარტიები და მშვიდობისმოყვარე ძალები მთელს მსოფლიოში, ლენინური საგარეო პოლიტიკის გატარებამ უზრუნველყო მთელს მსოფლიოში სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალების ზრდა—გაძლიერება.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების ინტერესებისათვის. ამასთანავე ყრილობამ გადაჭრით დაგმო ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელთა ცილისმწამებლური თავდასხმები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტზე.

ყრილობამ აღნიშნა ის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, კულტურული მშენებლობის ფრონტებზე, მოიწონა ყველა ღონისძიებანი, რომლებიც განახორციელეს პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ—საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

უკანასკნელი 6 წლის მანძილზე—XX ყრილობის შემდეგ—სამრეწველო პროდუქციის ზრდამ თითქმის 80 პროცენტს მიაღწია.

წარმატებით გადაწყდა ამოცანა—დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას—ამერიკის შეერთებულ შტატებს—არამარტო ტემპების, არამედ აგრეთვე პროდუქციის აბსოლუტური, ყოველწლიური მატების მხრივაც. ახლა ჩვენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის თითქმის ერთ მეხუთედს [illegible]

უდიდესი წარმატებანია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში, რომლის განვითარებისათვის ამ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა.

ათვისებულ იქნა 41, 8 მილიონი ჰა ყამირი მიწა, 5 წელიწადში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია წინა 6 წელთან შედარებით გაიზარდა 43 პროცენტით. თუ წინათ სახელმწიფო ყოველწლიურად ყიდულობდა მხოლოდ ორ მილიარდამდე ფუთ მარცვლეულს, უკანასკნელ წლებში იგი ყიდულობს სამ მილიარდზე მეტ ფუთს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 68 პროცენტით, ღორისა — ორნახევარჯერ.

ნაციონალური შემოსავლის ზრდის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი გადიდდა 27 პროცენტით, კოლმეურნეთა შემოსავალი—33 პროცენტით, ორმოცდაათმა მილიონმა კაცმა—მოსახლეობის თითქმის ერთმა მეხუთედმა—მიიღო ახალი კეთილმოწყობილი ბინა.

მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშა-მოსამსახურეთა შვიდ და ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანას, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადის თანდათანობით შემცირებას, დაწყებული 1960 წლიდან.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ფონდები.

1960 წელს ამ ფონდიდან მოსახლეობამ მიიღო დახმარება და შეღავათები 24,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მაშინ, როცა 1940 წელს ეს თანხა 4,2 მილიარდ მანეთს არ აღემატებოდა, შვიდწლედის ბოლოს კი ეს დახმარება 40 მილიარდამდე გადიდდება.

უდიდესი სიამაყის გრძნობით აღინიშნა ყრილობაზე საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მიღწევები. პირველმა საბჭოთა კოსმონავტებმა—იური გაგარინმა და გერმანე ტიტოვმა თავიანთი უმაგალითო გაფრენით კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის განვითარების ისტორიაში, კოსმოსის ათვისებაში ახა-

ლი ბრწყინვალე ეპოქის კარი შეაღეს. აღინიშნა ჩვენი მეცნიერების მიღწევები ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში, კიბერნეტიკისა და სწრაფად მომქმედი გამოსათვლელი მანქანების შექმნაში, პელიმერების ქიმიაში, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, რადიოტექნიკის, ელექტრონიკის განვითარებაში და სხვა.

ყრილობამ მოიწონა განხორციელებული ღონისძიებანი სახალხო განათლების გარდაქმნისა და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების, სკოლა-ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოწყობის, სწავლების დაუსწრებელი და საღამოს სისტემის განვითარების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ამ უკანასკნელ წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში შეიქმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებშიც მართლად არის ასახული ჩვენი სინამდვილე, კომუნიზმის მშენებელი ადამიანები.

ყრილობამ აღნიშნა რა ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალების განვითარება, საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლების საფუძველზე სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განუხრელად გაუმჯობესება, მოიწონა სოციალისტური საკუთრების საერთო—სახალხო და საკოლმეურნეო—კოოპერაციული ფორმების შემდგომი განმტკიცებისა და დაახლოების, მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრული განხორციელების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურის დაახლოებისა და ყოველმხრივი ურთიერთგაგების კურსი, ჩვენი საზოგადოების მორალური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების, საბჭოთა ადამიანების შრომაში, ყოფაცხოვრებაში, შეგნებაში კომუნისტური საწყისების აქტიური ჩამოყალიბების კურსი.

სკკპ XXII ყრილობაზე, როგორც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებაში, ასევე დელეგატების გამოსვლებში ხაზგასმით იყო აღნიშნული იმ უმნიშვნელოვანესი მუშაობის შესახებ, რომელიც გასწია პარტიამ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში.

ყრილობამ სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა სტალინის პიროვნების კულტის აშკარა და გაბედული დაგმობისათვის, რომ პარტიამ ხალხს უთხრა სიმართლე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ პიროვნების კულტის პერიოდში და გადაჭრით დაგმო შეცდომები და დამახინჯებანი, ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო მეთოდები.

ყრილობამ სავსებით სწორად მიიჩნია და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადამწყვეტი ღონისძიებანი მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ბულგანინის, პერვუხინის, საბუროვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის მხილებისა და იდეური განადგურებისათვის, რომლებიც წინააღუდგნენ XX ყრილობის მიერ დასახულ ლენინურ კურსს, გაილაშქრეს პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის ღონისძიებათა განხორციელების წინააღმდეგ. ყრილობაზე აღინიშნა აგრეთვე ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული ბრძოლის დროს ამხ. ვოროშილოვის მიერ დაშვებული შეცდომები.

ყრილობამ გამოხატა რა ყველა კომუნისტის ნებასურვილი, თავის დადგენილებაში ჩაწერა, რომ პარტია კვლავაც განუხრელად განახორციელებს პარტიული რიგების ერთიანობისა და სიწმინდის ლენინურ კანონს, შეურიგებლად იბრძოლებს ჯგუფობრიობის და ფრაქციულობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენების ყოველმხრივი და ღრმა განხილვის შემდეგ ყრილობამ მიიღო დადგენილება.

**მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული მოღვაწეობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.**

**მოწონებულ იქნეს დასკვნები და წინადადებები, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.**

ყრილობამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობამ აღფრთოვანებით განიხილა და დაამტკიცა სკკპ ახალი პროგრამა და წესდება.

პარტიის ახალ პროგრამას სრულიად სამართლიანად უწოდეს თანამედროვეობის კომუნისტური მანიფესტი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს ბედისათვის.

**„ახალი პროგრამა რომ მიიღო,— ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, XXII ყრილობამ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ხელმძღვანელობენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, მაღლა აღმართავენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დროშას. კომუნისტური საზოგადოების აშენება პარტიისა და ხალხის პრაქტიკული ამოცანა გახდა.“**

ახლა ყველგან და ყველა უბანზე საბჭოთა ადამიანები პარტიის პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად სახავენ თავიანთი მუშაობის კონკრეტულ გეგმებს. საბჭოთა ხალხთან ერთადაა საქართველოს მშრომელები. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ყველგან უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა.

ყველგან, მუშაობის ყველა უბანზე, მამაკაცის თანაბრად სასახელოდ იბრძოდა და იბრძვის საბჭოთა ქალი, მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის ქალებიც.

საქართველოს ქალები, შეიარაღებულნი XXII ყრილობის გრანდიოზული დადგენილებებით, კვლავაც ჩვეული ენთუზიაზმითა და თავდადებით იბრძოლებენ კომუნიზმის აშენებისათვის—კაცობრიობის ამ ნათელი მომავლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი სკკპ XXII ყრილობის მონაწილენი არიან



# შრომის სიმფონია

თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის საძირე-საგამომკვეთო საამქროს ეკონომისტი ანა ზაბორსკაია შენიშნავს: „ამ დაზგას „რევოლუციონი“ ჰქვია“... ამ შენიშვნის მრავალი მნიშვნელობიდან ერთი უკვე ის არის, რომ „რევოლუციონს“ თავისთავად არავითარი რევოლუცია ფეხსაცმლის წარმოებაში არ მოუხდენია, ხოლო მეორე ის, რომ რევოლუცია ნამდვილად მოხდა შრომისადმი დამოკიდებულებაში და ის მოახდინა არა დაზგამ, არამედ ამ დაზგასთან მომუშავე ადამიანმა. რევოლუცია მოხდა ამ ადამიანის ბედშიც, უბრალო, მშრომელი ადამიანის ბედში: ფეხსაცმლის ლანჩის გამომკვეთი ახალგაზრდა მუშა ქალი მონაწილეობას იღებს საქართველოს კომპარტიის ყრილობის მუშაობაში, არჩეულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო სკკპ XXII ყრილობის დელეგატი!

ბედნიერ ვარსკვლავზე კი არა, ბედნიერ დროში დაბადებულ შრომის ადამიანთა ხვედრი ერთ გარდუვალ კანონს ემორჩილება: თუ შენ, საზოგადოებაში შენი ადგილის მიუხედავად, კეთილსინდისიერად ემსახურები ხალხს, ქვეყანას, თუ შენ სავსებით დასძლიე ძველი დროის მავნე შეხედულებანი შრომაზე, — ხალხის, მთავრობის, პარტიის საყოველთაო ზრუნვითა და პატივისცემით გარემოსილი, ახალ და ახალ ბედნიერებას ჰპოვებ შრომაში, სულიერი სილამაზისა და მატერიალური სიკეთის ამ დაუშრეტელ წყაროში.

მილიონთა ბედნიერების ამ გზას გაჰყვა ლუიზა ივანეს ასული დავითაძეც — თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის საძირე-საგამომკვეთო საამქროს მოწინავე მუშა. ახლა ფაბრიკაში ყველა თვალნათლივ ხედავს, რა მისცა უბრალო მუშა გოგონას სიბეჯითემ და შრომის სიყვარულმა.

...ვრცელ და ნათელ საამქროში ელ-თიმეორის მიყოლებით ხმაურობენ დაზგები. ადამიანების დაძაბულ შრომაში შეუმჩნევლად ხვავდება ფეხსაცმლის ქვედისათვის საჭირო ყველა დეტალი: ლანჩები და ღამბაშები, ქუსლქვედები და ცხვირქვედები, ტყავის საფენები და ნალები. ეს საძირე-საგამომკვეთო საამქროს ძირითადი პროდუქციაა. ვილაც ახალბედას საამქროში პირველი მოსვლისას უოხუნჯია: „არც ცოდნა, არც გამოცდილება! დაჰკარი ყალიბს და ლანჩაც მზადაა“. რა თქმა უნდა, ამ ახალბედას ერთბაშად არ შეეძლო გაეგო, რომ თუ მოუზომავად და უდარდელად დაჰკრავდა ყალიბს, მის მიერ გამოკვეთილი ლანჩა წუნდებულ პროდუქციას გაამრავლებდა მხოლოდ ბრძოლა წუნის წინააღმდეგ და საძირე მასალის ეკონომიისათვის — აი რა დაისახა მიზნად საამქროს ახალგაზრდა მუშების ერთმა ჯგუფმა. ხოლო იმ დროს, როცა მიზანი თითქმის მიღწეული იყო, ფაბრიკაში გავრცელდა ამბავი მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის „პარიზის კომუნის“ მუშათა კოლექტივის თაოსნობის შესახებ. ცნობილია, რა სწრაფად ვრცელდება კარგი ინიციატივა. და ახალგაზრდათა ამ ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოპოვებისათვის. ამ ბრძოლის სული და გული ლუიზა იყო. საფაბრიკო კომიტეტის დახმარებით 6 თვის თავდადებული შრომა დამთავრდა იმით, რომ მუშა ახალგაზრდების ჯგუფს, 6 კაცის შემადგენლობით, მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება. ლუიზა დავითაძეს ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს.

კომუნისტური შრომის ბრიგადა! სიახლის, შემართებული ენერგიისა და გმირული შრომის პათოსით ჟღერს ეს სამი სიტყვა. და ყველაფერი, რაც ახალი, ჯანსაღი, პატიოსანი და სიცოცხლისუნარიანია ახალგაზრდობაში, თავმოყრილია ამ სიტყვებში.

სხვადასხვა ხასიათის და სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთი განცდით და ერთი მიზნით იბრძვიან საერთო საქმისათვის.

8 თვეში ბრიგადის მიერ გაწეულია 22.392 კვადრატული დეციმეტრი ტყავის ეკონომია, რაც საერთო პროდუქციის 1,4 პროცენტს შეადგენს და ფულად ერთეულებში გადაყვანისას იძლევა 11.819 მანეთს. ბრიგადის მიერ გაწეული ეკონომიით შეიძლებოდა შეგვეკერა ბავშვის 7614 წყვილი ფეხსაცმელი. დავალების ყოველდღიური შესრულების პროცენტი ბრიგადაში უდრის 114-ს. ლუიზა დავითაძის პირად ანგარიშზე ირიცხება 5350 კვადრატული დეციმეტრი ტყავის ეკონომია (ეს უდრის 1820 წყვილ ბავშვის ფეხსაცმელს).

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის ტრიბუნიდან ლუიზა დავითაძემ თავისი ბრიგადის სახელით ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა. მიღწეული ზღვარი არ არის — კომუნისტური შრომის ბრიგადების ამ დევიზით იყო გამსჭვალული მისი სიტყვა თავიდან ბოლომდე.

— ყოველ საქმეში წარმატების აუცილებელი პირობა მონდომებასთან ერთად საქმის სიყვარული ყოფილა, — შენიშნავს ლუიზა და გატაცებით ჰყვება მშობლიური საამქროს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ადამიანებზე, რომლებიც მის მხარდამხარ შრომობენ, და რახან ლაპარაკი ადამიანებზე ჩამოვარდა, ლუიზა უნებლიედ იგონებს ფაბრიკაში მოსვლის პირველ დღეს.

ეს იყო 1956 წლის ზაფხულში. ოქროს მედალოსნის ატესტატით ხელში იგი ცხოვრების ფართო გზაზე გამოდიოდა. ის თითქმის იმ ზღაპრულ გზაჯვარედინზე იდგა, სადაც შუქნიშანი უჩვენებდა, რომ წინ ყველა გზა ხსნილია. გაურკვეველი შიშითა და იმედებით სავსეს, საოცარი არჩევანის წინაშე აყენებდა ეს შუქნიშანი და თავი ეგონა უზარმაზარი ბავშვი, რომელიც საჭიროებს თანაგრძნობას, მხარდაჭერას, დაყვავებასაც კი. და აი ერთბაშად, როგორც მთიდან დაქანებულმა ზვავმა, ახალგაზრდობა მოიცვა ახალი ინიციატივის ტალღამ. ამ ინიციატივას ერქვა — „სკოლიდან — წარმოებაში“. ეს იყო ახალგაზრდობაში შრომის ახალი კომუნისტური პათოსის დამკვიდრების დასაწყისი, კიდევ მეტიც: ეს იყო შრომაზე იმ შეხედულებათა ძირფესვიანი გადასინჯვის დასაწყისი, რომლებიც სწავლა-აღზრდის ძველი სისტემის პირობებში შემუშავდა. და აქ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეს ინიციატივა მოდიოდა თვითონ ახალგაზრდობიდან.

ლუიზა ერთერთი პირველი გამოეხმაურა ამ ინიციატივას და მწვანე შუქნიშნის მიერ ნაჩვენები ყველა გზიდან მან ეს გზა აირჩია —გზა ფაბრიკისაკენ, ფიზიკური შრომის სარბიელისაკენ. ფაბრიკაში მას გულისხმიერი ადამიანები დახვდნენ. მათი დახმარებით სწრაფად დაძლია პირველი დღეების უხერხულობა და მალე მოწინავე მუშათა შორის იხსენიებოდა.

დღეს კი!... ყველაფერი მის შესახებ და მის ირგვლივ ჟღერს, როგორც ჩვენი დროის ჯადოსნური მგზნებარებით შექმნილი შრომის დიდების სიმფონია.

მისი ბიოგრაფია იწერება ჩვენი საერთო ცხოვრების მდინარების კვალდაკვალ და ამიტომ ძალიან ჰგავს ბევრის ბიოგრაფიას: სკოლიდან მოვიდა წარმოებაში, დაეუფლა არჩეულ სპეციალობას, შემდეგ გადაწყვიტა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მეცნიერების საფუძვლების დაუფლება და ამჟამად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგიის განყოფილების საღამოს სწავლების III კურსის სტუდენტია.

1959 წელს მშრომელებმა ის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხოლო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ლუიზას ცხოვრებაში მაინც ის არის, რომ ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატი იყო.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ლუიზა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საზეიმო სხდომებში. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე ერევანში ის პირადად შეხვდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს და მოიხიბლა მისი გულისხმიერებითა და ყურადღებით. ამ შეხვედრამ მას უნებლიედ გაახსენა იქ, შორეულ საფრანგეთში, კანისა და ნიცის ზღაპრულ სილაჟვარდეში, მეგობრობის ბანაკში შეხვედრები და უცხოელი მეგობრების ნაამბობი ახალგაზრდობის მოთხოვნებისადმი საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელთა მხრივ ქედმაღლური, უტიფარი დამოკიდებულების შესახებ.

ახლა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ზედმეტია კომენტარები ორი სამყაროს კონტრასტებზე. მოწინავე კაცობრიობა ცდილობს ჩვენი პლანეტის შავი კონტრასტების წაშლას. დღესდღეობით კი უცილობელ ფაქტად რჩება, რომ კაპიტალისტურ სამყაროში აღზრდილი მშრომელი ქალიშვილებისათვის ლუიზა დავითაძის ბედი მომავლის შორეთში დარხეული ლეგენდაა შრომის ადამიანების ბედნიერებაზე.

ნანული ქოჩიშვილი

# სამშობლოსათვის ვჭექოთ დიდება!

მიყვარს, მიტაცებს
ჩემი მამული,
ცა, დილის ცვარით პირდანამული,
ჩემი სიცოცხლე,
ჩემი სინათლე.
გესმით? საამურს
სტვენს სალამური,
უსმენს ბუნება სულგანაბული,
მოდის სიმღერა როგორც სიმართლე,
მოდის სიმღერა,
გადუვლის ველებს,
მთებს დაუკოცნის გაყინულ ხელებს,
ჭრელ-ჭრელ ყვავილებს დააყრის გულზე.
საავდრო ღრუბლებს
ქედები ჰხევენ,
ლხენის ზრიალი აღმოხდათ ხევებს.
დგახარ და უმზერ:
რარიგ მაღლდება,
რარიგ ლაღდება
შენი სამშობლოს ბედის ვარსკვლავი.
შორს, კოსმიური ზეცის თაღები
გიხმობენ... მიწა ველარ გაკავებს.
გინდა: ზემოდან დაჰხედო მხარეს,
აგებულს შენი ჩაქუჩ-ნამგალით.
გინდა: ვარსკვლავებს აუბა მხარი,
ძმად შეეფიცო
ტიტოვს,
გაგარინს.
რომ სიმაღლიდან დაჰხედო მამულს
აწალკოტებულს შენის მარჯვენით,
მადლობით უთხრა
დედებს და მამებს:
ღირდა, რისთვისაც გაისარჯენით!—
თქვენ შემოჰყევით
ნოემბრის დილას,
თქვენ წმინდა სისხლი გზებზე დაღვარეთ.
გსურდათ, ბოგანო გექციათ მდიდრად,
და მზე ეხილა მამულს საყვარელს.
აჰა! აღსრულდა:
მზე კომუნიზმის
ბრწყინავს, მოხატა ლურჯი ტატნობი.
ჩვენ ფრთა შევასხით თქვენს დიად მიზნებს,
გავანამდვილეთ რასაც ნატრობდით.
მოდის,
ხვავდება ჩვენი ბარაქა,
ასჯერ მეტი გვსურს, ეს არ გვეყოფა!
მეტი დოვლათი,
მეტი კარაქი,
და ეცინება მინდვრის დედოფალს.
ქარვა ჩასხმიათ ციტრუსებს გულში,
ზღვა ჩადგომიათ ოქროს თავთუხებს.
სულ სიყვარულში!
სულ სიხარულში!—
მღერის მაჭარი და მზე ადუღებს.
სულ მშვიდობაში, ჩემო ქვეყანავ,
შენი დოვლათი, შენი ბარაქა,
ვარდი გეფინოს, აგცდეს ეკალი,
ჰქუხდეს სიმღერა
სოფლად, ქალაქად.
იმედის თვალით გიმზერს სამყარო,
ვითარც მშვიდობის მედროშეს დიადს.
ვართ ბედნიერნი,
დიდნი, მაღალნი,
რადგანაც შენი შვილები გვქვია!
და ეს სიცოცხლეც მისთვის გვინდოდა,
და ეს მარჯვენაც მისთვის გვჭირდება:
ვით მზე, ავანთოთ ქვეყნად მშვიდობა,
და სამშობლოსთვის ვჭექოთ დიდება!

ნაზი კილასონია

## ისინი სკკპ XXII ყრილობის მონაწილეები იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიამ გონჯილაშვილი (მარჯვნივ) და ვენერა სიხარულიძე

ფოტო ა. წიკლაურის

# გაშლილი ფრთეში

გონჯილაშვილების ოჯახში იმ ღამეს დიდხანს არ დაუძინიათ. განსაკუთრებით ღელავდა დედა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, იმ დღეს მისი ქალიშვილი მარიამი პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. დედის გულში სიამაყის და გაურკვეველი შიშის გრძნობები ებრძოდნენ ერთმანეთს. შეძლებს კი მისი შვილი ასეთი მაღალი ნდობის გამართლებას? იქნებ მძიმე ტვირთმა დაძალოს და საქვეყნოდ შერცხვეს? — ფიქრობდა იგი და აგერ მერამდენედ ეკითხებოდა მარიამს:

— გძინავს, შვილო?

— დაიძინე, დედა, ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება.

ამას დედის გასამხნევებლად ამბობდა, თორემ თვითონაც ღელავდა მარიამი. გასამხნევებლად იგონებდა ივრის ნაპირებს, სადაც მეგობარ გოგონებთან ერთად უთამაშია, მოფარებულ ადგილას უბანავია; თვალწინ ედგა რიყიანში მორბენალი, მუდამ მოუსვენარი, ნაწნავებიანი გოგო. ეს ხომ თვითონ მარიამი იყო, რომელსაც ვერაფერი ვერ აშინებდა...

გაფრინდა უდარდელი ბავშვობის წლები. პატარა გოგო იყო, როცა საყვარელი მამა გარდაეცვალა. დარჩა საწი მცირეწლოვანი ობოლი, მარტოხელა დედის შემყურე.

ცხოვრების იმ მძიმე წლებში მიეჩვია მარიამი სიძნელეთა გადალახვას. ბეჯითად სწავლობდა, დედას მხარში ედგა, მშობელი მას თავის მესაიდუმლედ და უახლოეს მეგობრად თვლიდა. 1949 წელს მარიამმა წარჩინებით დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

იმავე წელს მარიამი ახალსოფლის სკოლის მასწავლებლად გაგზავნეს. იორზე მაშინ ხიდი არ იყო, ჩვეულებრივად წყნარი მდინარე ხანდახან თავს მოიგიჟიანებდა, მეორე მხარეს მარიამს ყოველ საღამოს მოხუცი დედა ელოდებოდა. აი სწორედ მაშინ იყო საჭირო ვაჟკაცობა, რომ აზვირთებულ იორში ცხენი შეეგდო და გაღმა უვნებლად გასულიყო.

მერე წლები წლებს მიჰყვა. რაიონში მალე შენიშნეს მთიელი ქალიშვილის ორგანიზატორული ნიჭი. პირველ ხანებში საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელობა მიანდეს, მერე კი კომკავშირის თიანეთის რაიკომის განყოფილების გამგედ დააწინაურეს.

ცოტა ხნის შემდეგ მარიამი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორია, მალე მას კომკავშირის თიანეთის რაიკომის მდივნად ირჩევენ.

მუდამ მოძრავი, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, ახალგაზრდობის გულისხმიერი წინამძღოლი და მეგობარი, პირდაპირი და სიმართლის დაცვაში შეუპოვარი, — ასეთად შეიცნეს იგი მაშინ რაიონში. არ დარჩენილა არცერთი სოფელი, ფერმა თუ იალაღი, მა-

რიამი რომ არ მისულიყო და ადამიანებისათვის მგზნებარე კომკავშირული სიტყვა არ მიეტანა.

1958 წელს მარიამი მოსკოვში ჩადის და ორი წლის შემდეგ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლას ამთავრებს.

და აი, დადგა ის დღეც, როცა მარიამს თიანეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიანდეს. შუაღამე გადავიდა, მაგრამ მის თვალებს ძილი არ ეკარება. რით დაიწყოს — აი კითხვა, რომელიც არ ასვენებს. რაიონის ბევრი კოლმეურნეობა ჩამორჩენილია. საჭიროა შრომა, გონივრული ხელმძღვანელობა. ხომ შეიძლება ადამიანმა პირველსავე ნაბიჯზე დაუშვას შეცდომა, მერე ძნელია შელახული ავტორიტეტის დაბრუნება.

ეს იყო შარშან შემოდგომაზე. მას შემდეგ ერთი წელიწადიც არ გასულა, მაგრამ პარტიის რაიკომის ახალმა მდივანმა ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ძნელი სათქმელია, როდის იწყება ან როდის მთავრდება მისი სამუშაო დღე. ახლაც სისხამ დილით, როცა ივრის ჭალებში ჯერ მზის სხივები არ ჩაღვრილა, მასთან ერთად ახალსოფელში ვართ.

ცოტა ხნის წინათ ეს კოლმეურნეობა ჩამორჩენილი იყო. მაშინდელი თავმჯდომარე მუშაობაში ნაკლებ ინიციატივას იჩენდა, ყოველთვის წუწუნებდა ხალხი არ მივარგაო. სხვისი ხელების შემყურე ხელმძღვანელმა სოფლის ძალების რწმენა დაკარგა, დროზე დაეხმარა ახალსოფლელებს პარტიის რაიკომის ბიურო. ეს დახმარება მარტო სიტყვიერი როდი იყო, კოლმეურნეებმა თავიანთ ხელმძღვანელად რაიკომის რეკომენდაციით კომუნისტი ვენერა სიხარულიძე აირჩიეს.

ვინ მოთვლის რამდენჯერ მოსულა მას შემდეგ ახალსოფელში მარიამი, რამდენჯერ უსაუბრია ხალხთან გულღიად, რამდენჯერ დახმარებია ახალ თავმჯდომარეს.

ადრიანი დილა იყო, მაგრამ კოლმეურნეები უკვე მინდორში გასულიყვნენ. ფერდობზე ტრაქტორი გუგუნებდა. ვენერამ გვითხრა: ამ შემოდგომაზე გეგმით 160 ჰექტარი უნდა დაგვეთესა, ჩვენ კი სამასზე მეტი ჰექტარი დავთესეთო.

რაიკომის მდივანი რომ დაინახეს, კოლმეურნეებმა წუთით სამუშაო მიატოვეს და ფერმისაკენ გამოეშურნენ.

— ლადო, როგორა ხარ? — მიაგება მარიამმა პირველ მოსულს.

— გმადლობთ, არა მიჭირს-რა.

— აბა, ერთი იმ ფერდობს გახედე, მოგწონს ნათესი?

ლადომ სახე მოიჩრდილა:

— ნახნავი არ ვარგა.

— ვისი ბრალია მერე? ხომ გითხარით, უნდა ვთესოდ ვიწრო მწკრივად, თქვენ კი მწკრივებს შორის ზოგან ვეებერთელა ხარვეზი დაგიტოვებიათ. დროა ვისწავლოთ მთის ხალხმა ხვნათესვა, მარტო ცხვარი ხომ არ გვეყოფა.

რაიკომის მდივანი მიუბრუნდა ახალგაზრდა ბრიგადირს გურამ კაცელაშვილს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტს:

— დღეს მორჩებით გომურის შეკეთებას?

— მოვრჩებით უსათუოდ.

პირუტყვის მეორე სადგომის შეკეთებაზე მარტო ქალები მუშაობდნენ, მარიამმა იხუმრა:

— გოჯიაანთში კაცები გაწყდნენ?

ვენერამ ხუმრობა შეიფერა:

— ზოგი გუშინ გავასვენეთ, ზოგსაც დღეს ვასაფლავებთ, — ქალებმა სიცილი ატეხეს, ერთმა ხუმრობითვე დაუმატა:

— მოტირალებიც აღარა ჰყავთ, ყველანი აქა ვართ.

კარგ გუნებაზე იყვნენ ახალსოფლელები, ამის უფლება მათ ჰქონდათ, ისინი საუკეთესოდ მოემზადნენ ზამთრისათვის. არასოდეს მათ იმდენი საკვები არ დაუგროვებიათ, რამდენიც წელს. გაზარდეს პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ხალხმა შეიყვარა თავისი ერთგული ხელმძღვანელი და დაჯერებით გაჰყვა მას.

...დიდხანს ეძებდნენ მარიამი და მისი მეგობრები ზოგიერთი კოლმეურნეობის სისუსტის მიზეზებს. ერთერთი მიზეზი ის იყო, რომ უკანასკნელ წლებში რაიონის კოლმეურნეობებმა თანდათანობით 3.200 ჰექტარით შეამცირეს სათესი ფართობი.

რაიკომის ბიურომ, რაისაბჭოს აღმასკომთან ერთად, გააჩაღა ბრძოლა, რათა გამოუყენებელი არ დარჩენილიყო არცერთი ჰექტარი მიწა, ამის შედეგად კოლმეურნეობებმა დამატებით მიიღეს ასობით ტონა მარცვლეული.

„მინდვრის დედოფალმა“ ხომ ნამდვილად ასახელა თიანეთელი კოლმეურნეები. არასოდეს აქ სიმინდის ისეთი მოსავალი არ ყოფილა, როგორც წელს.

2.200 ჰექტარზე გადაჭიმულმა სიმინდის ნათესმა კოლმეურნეებს საშუალება მისცა განემტკიცებინათ მეცხოველეობის საკვები ბაზა. მეცხოველეობა კი რაიონში ერთერთ წამყვან დარგად ითვლება.

მეორე მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევს პარტიის რაიკომი, აგროტექნიკის ზუსტად დაცვაა.

— თქვენ მეკითხებით, არის თუ არა საჭირო, რომ პარტიული მუშაკი ღრმად წვდებოდეს აგროტექნიკის ყველა წვრილმანს? — ამბობს მარიამი და აგრძელებს:

— აუცილებლად საჭიროა. აგროტექნიკა დამატებით მიღებული ათასობით ტონა მარცვლეულია, ეს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი გზაა, ეს ეკონომიკაც არის და ჩვენი ადამიანების კეთილდღეობაც.

...მესამე, რაზედაც ბევრს ფიქრობდა რაიკომის მდივანი, ეს იყო საკოლმეურნეო კადრების აღზრდა და მათი სწორად განაწილება. რა დასამალია, რაიონში ზოგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ცუდად მუშაობდა, ჩადიოდა დანაშაულს. მარიამის ინიციატივით პარტიის რაიკომის ბიურომ მკაცრად დასაჯა ასეთები.

ბევრი რამ შეიცვალა რაიონში გასული წლის ნოემბრიდან. ყოველგვარი ხმაურისა და იერიშობანას გარეშე პირველად შესრულდა მარცვლეულის მოსავლიანობის და ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა, გაფართოვდა საკვები ძირხვენებისა და სხვა კულტურების ნათესები.

რესპუბლიკის ამ მთიან რაიონში დაბეჯითებით ამბობენ: კომუნიზმი მოაბიჯებსო მთაში. ამის წინამორბედად ათობით ხარაჩო აღუმართავთ. თანდათანობით მაღლა მიიწევს საშუალო სკოლა-ინტერნატის, პოლიკლინიკის, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლების კედლები, შენდება სკოლები, კოლმეურნეთა ახალი სახლები, პარკეტისა და საკონსერვო ქარხნები, გაჰყავთ გზები, მთიელთა სახლებშიც ნახულობენ ტელეგადაცემებს. ახლახან გაიხსნა მუსიკალური სკოლა. შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული საქართველოს ერთერთი დიდი საირიგაციო ნაგებობის — სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე.

* * *

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში ვართ. მარიამ გონჯილაშვილს ამას წინათ ბარათი მიუღია, რომლის ავტორები ცნობილი საბჭოთა პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი და მწერალი ირაკლი ანდრონიკაშვილი ვაჟას იუბილეს დღეებში თიანეთში იყვნენ.

— ჩვენ აღფრთოვანებით ვიგონებთ თქვენი რაიონის ხელმძღვანელებს და პირადად თქვენ, ძვირფასო მარიამ ალექსანდრეს ასულო. ბევრი, ძალიან ბევრი ქება გვესმის თანამედროვე ქართველი ქალებისა, რომელთა შორის არის ისეთი შესანიშნავი მუშაკი, ჭკვიანი და მომხიბლავი დიასახლისი, როგორიც თქვენა ხართ, — წერენ ისინი მარიამს.

ვუცქერი სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალს, რომელიც ეს ეს არის მოსკოვიდან — მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობიდან დაბრუნდა და რატომღაც არწივის ფრთები მაგონდება, გასაფრენად გამზადებული გაშლილი ფრთები.

ა. თოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნორა პაკელიანი



სულგანაბული იჯდა და უსმენდა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ადამიანები, რომლებიც შემოქმედებითად, თავისუფლად მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა წარმატებებს აღწევენ ზუგდიდელი მშრომელები და რა არის გადაუდებელი ამოცანა. მგზნებარედ, ამაღელვებლად გამოდიოდნენ შრომის ვეტერანები, იხსენებდნენ წარსულის ძნელ გზას, გატაცებით ლაპარაკობდნენ მომავლის გრანდიოზულ გეგმებზე, კომუნიზმზე.

იჯდა, უსმენდა და თითქოს ორივე ხელით იჭერდა აძგერებული გულის ფეთქვას. ეს დიადი გეგმები, ეს ნათელი მომავალი, რასაც პარტიის პროგრამის პროექტი ითვალისწინებს და რაზედაც ასე აღტაცებით ლაპარაკობდნენ ზუგდიდის რაიონული პარტიული კონფერენციის მონაწილენი — ეს ხომ მათ, ახალგაზრდებმა უნდა აქციონ სინამდვილედ, შეუპოვარი, თავდადებული შრომით აიღონ ყველა ზღუდე და ხორცი შეასხან ადამიანთა ყველაზე სანუკვარ ოცნებას.

— ყველაფერს, ყველაფერს გავაკეთებთ ამისათვის, — ხმამაღლა თქვა ნაფიქრი და ახსენეს კიდეც მისი სახელი, ნორა პაკელიანი საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატად დაასახელეს...

ჯერ თბილისი, მერე მოსკოვი, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა, მრავალი ახალი მეგობარი, ახალი ენერგია და ახალი გეგმები...

* * *

სვანეთის მთების ასული ნორა პაკელიანი კარგა მოზრდილი გოგო იყო, პირველად რომ ნახა ჩაის ბუჩქი. ეს მაშინ იყო, მესტიის რაიონის სოფელ ლატალიდან სამეგრელოში, ზედა ეწერში რომ ჩამოსახლდა მათი ოჯახი. მთებს მიჩვეულ თვალს უცნაური ძალით იზიდავდა „მწვანე ოქრო“, მეჩაიეთა მოქნილი თითები. მერე ნორა სკოლიდან თვითონაც პლანტაციაში გარბოდა.

1955 წელს ნორამ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა. მარტო გატაცება და მონდომება კი საკმარისი არ აღმოჩნდა. აკლდა საქმის ცოდნა, სუსტად ერკვეოდა აგროტექნიკაში. ამიტომაც პირველ წელს, რამდენს არ ეცადა, 3.400 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მაინც ვერ მოკრიფა.

შრომას მოჰყვა გამოცდილება. კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეები: გუგუშა ჭითანავა, მარგო ბაკარაძე, თამარ ყუფუნია და სხვები თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. და აი, 1959 წელს, როცა მათი კოლმეურნეობის ბაზაზე ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, ნორამ 9.500 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მისცა სამშობლოს. შარშან კი ნახევარ ჰექტარზე 12.450 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. ეს იყო დიდი გამარჯვება, რამაც საერთო აღიარება მოუპოვა მას.

წელს ამინდმა ბევრჯერ ატკინა გული მეჩაიეებს. ჯერ იყო და ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება ფოთოლს განვითარების ცუდ პირობებს უქმნიდა, მერე გადაუდებელი წვიმები აფერხებდა მუშაობას. ნორა მაინც კრეფდა განუწყვეტლივ, კრეფდა დარსა და ავდარში, გულდასმით ათვალიერებდა წინა წლების შესაბამისი დღეების მაჩვენებლებს და ცდილობდა ძნელ პირობებშიც წაერთმია ბუჩქისათვის მაქსიმუმი. შესძლო კიდეც, 11 ათას კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო“ მოკრიფა. სტუდენტიც გახდა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე წარმატებით ჩააბარა გამოცდები.

* * *

სიხარულით, ბედნიერებით გულსავსე ბრუნდებოდა ნორა მოსკოვიდან. ამაყად გადასცქეროდა ოქროსფერი შემოდგომის ეშხჩამდგარ ველ-მინდვრებსა და ეზო-კარს. იდგა ვაგონის სარკმელთან მაღალი, მოხდენილი და ფიქრით მშობლიურ მთებს ეალერსებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს სვანური კოშკის ქონგურებზე ზეცისაკენ შემართული ვაჟკაცები მზის საგალობელს აგუგუნებდნენ. ვაჟკაცურად ჟღერდა ლილეო. ახალი, სასახელო საქმეებისათვის თავის სოფლისაკენ მიისწრაფოდა ყრილობის დელეგატი.

**მზია კოზერიძე**

თინა დონჟაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთებში

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

1953 წლის პაპანაქება ზაფხულში მე უცებ გადავწყვიტე რამდენიმე დღით გავცლოდი თბილისს. ჩემს თავსაც არ ვუმხელდი, რომ სიცხემ კი არა, მთებში წასვლის სურვილმა აღარ დამაყენა.

„კვლავადაც გვინახულე, უფრო კეთილ დროს, კაცი კაცს არ უნდა ჰკარგვიდესო"... ჩამძახოდა დათვისელი ნატალას ხმა. თავის დღეშიც რომ აღარ მენახა, ნატალას რა დამავიწყდება, მაგრამ მისი ნახვის სურვილმა დამძალა. დროც ამაზე უკეთესი რაღა იქნებოდა? ქვეყანამ მოიშუშა ომიანობის ჭრილობები, მშვიდობიანი მშენებლობით იყო ხალხი გატაცებული, და ამ კეთილი დროის ერთერთი ნიშანი სამგორის მიწის მკვდრეთით აღდგომაც იყო. დასრულდა სახალხო მშენებლობად გამოცხადებული საშვილიშვილო საქმე. მთებში შობილი ივრის ტალღები ეხეთქებოდნენ არხის მოპირკეთებულ კედლებს და თავაწყვეტილი სიხარულით იღვრებოდნენ „თბილისის ზღვაში". ახალი ზღვის დონე ჯერ მტკავლებით იზომებოდა და თეთრფრთიანი თოლიები ყვირილით უკვე დასტრიალებდნენ მის ზედაპირს, თითქოს ბეჯითად ითვლიდნენ წყალვარდნილიდან წამოსული წყლის მოელვარე რკალებს. სამგორის ცის ქვეშ დაბინავებული ტოროლები გამუდმებით აწკრიალებდნენ საზეიმო საგალობელს. დალოცვილი მერცხლები დაუღალავი სრიალით უჭიკჭიკებდნენ ქვეყანას ახალი მიწის დაბადების ამბავს. მიწა — მედღეობჭ — მოირთო მინდვრის ყვავილებით და მათ სურნელოვან ჩრდილში მყუდრო ბინა დაიმკვიდრეს აბეზარა ჭრიჭინებმა და საქმიანმა ჭია-მაიებმა.

და ადამიანები, სამგორში მხოლოდ ვალის გადასახდელად ჩამოსულნი, იქვე რჩებოდნენ პირველ მოსახლეებად. ამავე მიწაზე დაიწყეს ჩამოსახლება იმათაც, ვინც უხსოვარ დროიდან შეკედლებული იყო ჭაღარა მთების ნაოჭებს.

მე მინდოდა ერთხელაც მენახა მთები, საიდანაც ხალხი ჩამოდიოდა სამგორის მიწაზე, მინდოდა გამეგო, რას ფიქრობდა, რას აპირებდა დათვისელი ნატალა.

და აი, საქართველოს სამხედრო გზის ორმოცდა მეხუთე კილომეტრი. მაგრამ ახლა აღარ მიხდება გრძელი მანძილის ფეხით დაძლევა, როგორც ოდესღაც... ახლა არც თეთრი ზამთარია. მწვანეა ზაფხული და ირგვლივ არე-მარე სულ არ ჰგავს იმას, ოდესღაც ნახულს...

სამხედრო გზა რომ დასტოვა და მარჯვნივ გაუხვია, მანქანა უცებვე შეიჭრა ხეობაში. ორსავ მხარეს მიჯრით მიყრილი ბუმბერაზები ძირებით გადასჭდობიან ერთმანეთს და აკვანივით შეუკრავთ არაგვისათვის კალაპოტი. არაგვს გაშლა უნდა, გასაქანს ეძებს, აწყდება გრანიტის კედლებს და იმსხვრევა მქუხარე, ქაფიან ტალღებად.

არაგვის თავზე, კლდეებს მიტმასნებული გზა ხან მდინარის დაკლაკნილ სვლას იმეორებს, ხან ზურგზე გადაუდის და მხარს იცვლის. მოუხვევს მანქანა და თითქოს ფარდა აეხსნაო ახალ გიგანტურ დეკორაციას: ხან წითელ-ყვითლად, იისა და იასამნისფრად აჭრელებული ფერდობებია, ხან პირტიტველა კლდეები მოჯარებულან, ხან მწვანე წიწვნარით შეფერილი მთებია, ხან თოვლიანი მწვერვალი გაიკრთომებს, ხან გაბზინდება წყალვარდნილი, და ხან კი სადღაც მაღლა სილუეტივით აისახება ყელმოღერებული ჯიხვი...

და ბოლოს, თითქოს სამყარო ჩაკეტაო, გზას ცასაწვდენილი მთა გადაეღობა. მე არა მჯერა, რომ მის კალთებზე ფერად-ფერად ლაქებად დაყრილი—სახლებია, მაგრამ მეტი რა გზაა, უნდა დავიჯერო:—ეს ნამდვილად ჩოხია, და ნამდვილად ორსართულიანი სახლებია, ცისფრად შეღებილი კარფანჯრებით, კრამიტის მოღაღანე სახურავებით. კოლმეურნეობის კანტორასთან ხალხი ირევა, კლუბში—რადიომოყვარულნი დაშლილ მიმღებს ჩაჰკირკიტებენ, სკოლის სახურავზე ბავშვები აფქიოს ამაგრებენ, სამედიცინო პუნქტში ახალგაზრდა ფერშალი წუწუნებს: მთის სუფთა ჰაერში მიკრობები ვერ ბოგინობენ, ავად არავინ ხდება და მას არავითარი პრაქტიკა არა აქვს.

სამჭედლოში გოდერძი დავინახე! მე მეცნობა მხოლოდ მისი თვითნაკეთი პროტეზი, თვითონ კი... ჩაქუჩს ბურთივით ათამაშებს, თვალით ამოწმებს გამოჭედილი დეტალის სიზუსტეს და, საოცარია, ღმერთმანი, სიტყვის გამოძალვა მისგან ყაზბეგის ადგილიდან დაძვრა რომ მეგონა, ახლა რა ვიცი რას აუმეტყველებია ეს კაცი. არა, შვილი არც ერთი არ დაუბრუნდა ფრონტიდან, მაგრამ შვილიშვილი დაბრუნდა, გელა და... გოდერძი უყოყმანოდ არღვევს მთის მკაცრ ადათს:

— ლელა არ გინახავს, წამოდი, გაჩვენო, ომის მემრე მესამე შვილთაშვილს ველოდებით!..

არ ვიცი, ათი წელი ეს ცოტაა თუ ბევრი ამ საოცარი ცვლილებებისათვის. მიწურის ადგილებზე ლამაზი სახლები რომ გამოჭიმულან ამ ცვლილებისათვის კი არა, აი იმისათვის, კოლმეურნეობის კანტორაში ქალები რომ ისევე თამამად შედიან, როგორც კაცები; რომ გოდერძისთანა კაცებს სამისდღემშიოთ დაუსამარებიათ მთის ულმობელი ადათი; რომ ფეხმძიმე ლელა საკოლმეურნეო საცხობში ფუსფუსებს და შვილიანობის მოლოდინში თვითონაც რიღაცით წააგავს ხორბლის სურნელოვან, თალხ პურს, მწკრივებად რომ დაულაგებია სუფთა თაროზე; რომ თამარო, რომლის სასოწარკვეთამ ისე გამაკვირვა ოდესღაც, ჯარისკაცის ქვრივია, დაბადებამდევე დაობლებული ბიჭის დედა, უკეთესთა შორის უკეთესი ფერმის გამგე; რომ ხალიჩის მქსოველი ქალები მოსკოვს გაუგზავნიათ გამოფენაზე, რომ...

რაღაც მიშლის დათვისელების მოკითხვას. არ მინდა წინასწარ და სხვისი პირით მათი ამბის გაგება. მინდა მივიდე და თვითონ დავინახო ყველაფერი, ამიტომ ვერიდები ნატალას და მაიას ხსენებას.

შორიდანვე ვხედავ დიდ ზალიკას. თავისი ლამაზი სახლის კარიბჭესთან დგას. დგას ისევ ისეთი, როგორიც მახსოვს: ხმელ-ხმელი და ძარღვმაგარი. ოდნავ მხრებში მოხრილი, გონიერებით განათებული. დგას ლაღად, ბუნებრივი ღირსებით აღვსილი, დგას ისე, თითქოს მის მამა-პაპას ამაზე უკეთეს სასახლეში დაულევიათ სული...

მეგონა მივეჩვიე საკვირველებას, მაგრამ როცა ჩვენს გულ-

---

დასასრული. იხ. „საქართველოს ქალი" № 9, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდობილ საუბარში ჩამომდგარი ბინდი მოულოდნელად გაარღვიეს ელექტრონათურებმა, ალბათ სასაცილო ვიყავი, ნათურები მხიარული დაცინვით რომ აციგლიგდნენ.

გაბდღვრიალებული სახლი მალე აივსო ხალხით. ამ დიდ ოჯახში სტუმარი მხოლოდ მე ვარ. და როცა დიდმა ზალიკამ საკუთარი ხელით გამოთლილი ყანწი დაცალა სიკეთისა და მშვიდობის სადიდებელი, მე ვეღარ მოვითმინე, მაშინ კი ვახსენე დათვისა.

ოთახში ერთბაშად ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, ისეთი სევდა მოეფინა ახლახანს მოღიმარე სახეებს, რომ ავმა წინათგრძნობამ მანანებინა დათვისას ხსენებაც, აქ მოსვლაც. „რა მოუვიდა ნატალას“? მინდა ვიკითხო და არა ვკითხავ, არ მინდა მისი ავი გავიგონო.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ზალიკამ მძიმედ ამოიოხრა და მოჰყვა ამბავს:

ბოლო მოეღო სახალხო უბედურებას, გათავდა ომი. დაბრუნდა შინ ზვიად ზალიკაური. მსროლელ-სნაიპერს ზურგს უკან დარჩა გზა დათვისიდან ბერლინამდე, მკერდზე ორ მწკრივად ჩარიგებული საბრძოლო ორდენ-მედლები.

მზით მოოქრული დაუხვდა თავის მცველს დათვისა. დედის დიადი სიამაყით განათებული დაუხვდა შვილს ნატალა. მთის ყვავილებით კალთასავსე დაუხვდა სატრფოს მაია.

ჯარისკაცის დაბრუნების სიხარულის კვალდაკვალ მთიდან მთამდე, სოფლიდან სოფლამდე გაფრინდნენ საქორწილო ნადიმზე მოპატიჟენი და ისეთი მომხიბვლელი იყვნენ ნეფე-დედოფალი, რომ მათი ქორწილი საყოველთაო ზეიმად გადაიქცა.

ნატალას ოჯახისთანა ბედნიერი ქვეყნად მეორე არ იქნებოდა. ჩოხსა და დათვისას შორის ბილიკები ზაფხულობით მწვანედ არ აბალახებულან, ზამთრობით თეთრად არ დათოვლილან. ერთი მეორეზე დაბადა მაიამ ორი ბიჭი, და ისეთები იზრდებოდნენ ბიჭები, რომ მარტო ახლო-მახლო სოფლებიდან კი არა, შორიდანაც მოდიოდნენ მათი დალოცვილი აკვნის სანათხოვროდ.

ზვიადმა მალე დააწია ვაჟკაცური ხმა სახელგანთქმულ მეცხვარეებს. გალაღებულსა და სიხარულით სავსეს, საქმეც უღვივოდა ხელში: მრავლდებოდა ცხვარი, იზრდებოდა მეურნეობა, საერთო ხაზინაში სიმდიდრე სიმდიდრეს ემატებოდა. წკრიალა სიმღერით ტრიალებდა შინ და გარეთ მაია. შევარდნებად იზრდებოდნენ თვალმაყვალა ბიჭები. აკლდებოდა ნაოჭები ნატალას სახეს, თითქოს ნატალამ ჟამი უკუ აბრუნაო.

მთაში ბევრი სხვა სასიხარულო ამბავიც მოდიოდა. სამგორის მიწაზე სახალხო მშენებლობის ხმამაც ამოაწია და, რა თქმა უნდა, ხევსურებმაც შემართეს ხელი დიდსა და კეთილ საშვილიშვილო საქმეს.

სამგორიდან დაბრუნებული ვალგადახდილი ხევსურები შინდარჩენილთ უამბობდნენ, როგორ იზრდებოდა სარწყავი ქსელი და როგორ სწვდებოდა წყურვილით შეღონებულ მიწის გულს მაცოცხლებელი ნამი, უამბობდნენ ნაწამები მიწის მკვდრეთით აღდგომის სასწაულზე. მაგრამ ზოგი ბრუნდებოდა მოღუშული და უფრო სიტყვაძუნწი. ისინი თითქოს შემოსწყრომოდნენ მთის ჩვეულ საქმიანობას, გამოკითხვას თავს არიდებდნენ, ან უხალისოდ უპასუხებდნენ და თან ისე ოხრავდნენ, რომ აშკარა იყო — ბარიდან ძნელი საგონებელი წამოჰყოლოდათ.

ეს მაშინ გამოირკვა, როცა სამგორის ველზე არხის მშენებლობა დასრულდა და მთაში ქალაქის გამოგზავნილი კაცები ამოვიდნენ. მოსულებმა ხალხი შეჰყარეს და დაწვრილებით უამბეს, რაც გაკეთდა, და რაც უნდა გაკეთდესო სამგორში. ბოლოს ისა თქვეს, რომ მთიელებისათვის ვინც მოისურვებს ბარში ჩამოსახლებასო, სამგორში აშენებულია სახლებიო, იმ სახლებში წყალიც არის და ელექტრონის შუქიო, რომ გამოყოფილია მიწები, რაც სულსა და გულს უნდა, ისა თესე და მაიყვანეო. სულ ბოლოს კი ისიცა თქვეს, რომ ბევრი აქაური იქვე დარჩებოდაო, მაგრამ სოფლის საერთო გადაწყვეტილებას უნდა დავუცადოთო. ჰოდა, დროა გადასჭრათ თქვენი ბედიო...

ასე თქვეს და წავიდნენ, ხალხი კი არ იშლებოდა, გონსაც ვერ იყო მოსული. ასეთი ჯერ არ თქმულა და არ გაგონილა; ხევსურებმა მთა დააგდონ და ბარში დასახლდნენო!

მერე ალაპარაკდნენ, დიდხანს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს სიტყვასაც კი აწყვეტინებდნენ, ჩხუბობდნენ, ერთმანეთზე იწევდნენ. ბჭობამ იმდენ ხანს გასტანა, რომ მზე დაიღალა ყურებით, წაბრძანდა დასასვენებლად, გამოიძინა და ისევ გამოიხედა სიცილით.

მაშინ კი ასწია ნატალამ მზისაკენ ხელი.

— კმარა! — დაიძახა, აღკვეთა ყველას ხმა, —კმარა! დაე, ჩემმა შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა იხარონ და იბედნიერონ. ჩვენ წავალთ ბარში. აქ დარჩება მარტოკა ის, ვინც მტრად ადგია თავსაც და თავის ჯალაბსაც. მე აღარ დავანებებ დათვისას ჩემი შთამომავლობის არც ერთ წვეთ სისხლს. რა ყოფაა ეს ჩვენი ყოფა, მთელ ქვეყანას რო მოწყვეტილ ვართ...

— დედა !— დაიყვირა სახეზე ალმოკიდებულმა ზვიადმა.

— ჰო, ზვიად, ჩვენ წავალთ ბარში, იმიტომ რო...

— როგორ ამბობ მაგას! — ისევ გააწყვეტინა რისხვით გაბოროტებულმა შვილმა, — შენ უნდა მაიყვანდე გონს თავქარიან ახალგაზრდებს და თვითონ გაუტაცნიხარ ახალგაზრდობის უთმენლობას! შენი ძვლები აქ უნდა იქცნენ მიწად, წინაპართა საფლავზე, შენ კი ახალ ცხოვრებისაკენ გაგქცევია თვალი!..

ამ გაუგონარმა კადნიერებამ ხალხს ენა წაართვა და ისევ ნატალამ უპასუხა შვილს:

— ჩემი ძვლები, სადაც არ უნდა ჩაჰფლა, ყველგან იხმაურებენ, თუ მე დავუხშობ ბედს შენ შვილებს. ჩვენ წინაპართა საფლავი კი მთელი ქართული მიწაა, მთაც და ბარიც. ჩვენი მიწის ყველა მტკაველი მორწყულია იმათი სისხლით. იგრევ ჩვენ უნდა დავასახლოთ ის მიწა, რომელზეც ისინი აკვლიდნენ თავს ურჯულო მტერსა. იგრევ ჩვენ უნდა ვახაროთ სამოთხე, მტერმა რო შემუსრა...

ასე თქვა ნატალამ და განცვიფრებულ სიჩუმეში ყოველი მისი სიტყვა ბრძანებად ჟღერდა. და იმ ბრძანების წილ არავის რა ჰქონდა სათქმელი. ხალხი ჩუმად იშლებოდა, გულში მალავდა ახალ ცხოვრების სიხარულსა და შეჩვეულ ყოფასთან გაყრის სევდასაც.

მარტო ზვიადი დარჩა ადგილზე მილურსმულივით, რისხვით და აღშფოთებით გაფითრებული. კედელივით ყრუ იდგა და მხოლოდ ერთი ესმოდა: ხალხმა მთას უღალატა, უნდათ დააგდონ დათვისა!

ნატალამ დაინახა უძრავად მდგომი შვილი და ნელა დაბრუნდა.

— დამიგდე ყური! — წამოვიდა მისკენ შვილი.

— ჰო, ზვიად, ნუ დაიჩემებ იმაზე მეტს, ვიდრე ჩაიტევს შენი გული. უყურე მოხუცებს. შენც გიყვარს მთა, მაგრამ შენი სიყვარული იმათ ნეკის ფრჩხილშიც ჩაეტევა, განსჯა კი აქთ და ესმით რო...

— რად არ დაიწყევლა შენი ქებული სიბრძნე, მთიელებს ბარად რო მიერეკება! რაღასთვის ვიცავდი დათვისას?

— ცილს იდებ თავს, ზვიად. განა თუ შენ მარტოკა დათვისას იცავდი? დათვისას რო სულაც არ დაჰმუქრებოდა მტერი და სამგორს დასტეხოდა, განა შენი თოფი უქმად დაჟანგდებოდა? განა მტერს რო სპობდი, ეგეთი ვიწრო ზურგი გქონდა, მარტო დათვისას იფარვიდა?.. ეხლა გულჯავრიანზე სიტყვასაც ნუღარ იტყვი, არ მინდა ვისმინო შენი უმგვანო სიტყვა. გონს მოდი, გული დაიშოშმინე, წასვლის გამზადებაა საჭირო.

ნატალა გატრიალდა, ნელა წავიდა სახლისკენ.

— გზისათვინ იწყებ მზადებას? — დააწია ზვიადმა, — იცოდე მაშ, მოჰკვდები უცხო ადგილას და ჩემი ხელი არ

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მიაყრის მიწას შენ კუბოს. ამას არ ვამბობ გულცეცხლით დაბნელებული, აგრე ვიქ, როგორც მითქვამს!

ნატალამ ყურებზე ხელები აიფარა და ნაბიჯის აუჩქარებლად იარა სახლამდე.

— ჯავრობს კიდე? — ჰკითხა შემკრთალმა მაიამ.

— ან მე არ ვიცნობ საკუთარ შვილს ან დათვისამ თავისი ბოროტი სული ჩაუდგა. არ უშავს, მაი, გაგრილდება. აქ რა დაარჩენს მარტოკას უბინაო მგელივით...

მაია სიცივემ აიტანა. ასე მძაფრად არასდროს არ შეუგრძვნია დედამთილის უტეხი ნება. პირველად დაემუქრა ჩრდილი მათი ოჯახის სიმშვიდეს და თანხმოვანებას.

სიჩუმემ დაისადგურა ნატალას სახლში. რძალ-დედამთილი დღისით უსიტყვოდ ეხმარებოდნენ ერთმანეთს წასვლის მზადებაში. ღამით კი ძილდამფრთხალი, მშფოთარე ფიქრებში ცალცალკე გამოკეტილი წვალობდნენ. ჩინოც არ იყო, ის ადრევე თავკაცებთან ერთად გაგზავნა რაიონმა სამგორში. ზვიადი სანადირო თოფით წავიდა სახლიდან. ბიჭებს არ მოსწონდათ უჩვეულო სიჩუმე და შინიდან შორს გარბოდნენ ტოლებში.

ზაფხულის მიწურულს, როცა ცხვარი საზამთრო საძოვრებზე გაისტუმრეს, როცა დამზადებული პროდუქცია ჩააბარეს, დანიშნულ დღეს აიყარა სოფელი.

ბარგით დატვირთული ტანმორჩილი მთის ცხენები ქევქევით ჩაუყვნენ თავქვე ბილიკებს. დიდრონები უკან მისდევდნენ ჩაფიქრებულნი, ახალგაზრდები მიდიოდნენ ტაშ-ფანდურით და ბავშვების სიცილ-ხარხარი იკლებდა არე-მარეს.

სახლიდან ბოხჩით გამოსულ მაიას შეეჩეხა ზვიადი. თვალებამოღამებულმა დროზე დაუშვა მაიაზე აწეული ხელი. გატრიალდა, ისევ მოახტა ცხენს და წამში გაუჩინარდა.

ნატალას გული ჩაეწურა. ატირებული რძალი მკერდთან მიიკრა და ჩურჩულით უთხრა:

— ნუ სტირი, მაი, ეხლა კაცი ვერ გასძლებს სიმარტოვეში, ნუ სტირი, მალე ჩამოვა...

მაიამ ხელი მოჰკიდა ბიჭებს, მიწურისაკენ აღარც მიუხედავს, სირბილით გაეკიდა წინ წასულებს.

მზემ ჩოხთან მოუსწრო მგზავრებს. იქ მანქანები იცდიდნენ სამგორში მათ წასაყვანად. ხალხი იცინოდა ზვიადის სიჯიუტეზე, ვარაუდობდა სად, რომელ ადგილას დაეწეოდა ის თავისიანებს...

ზაფხულის დამლევს წავიდნენ დათვისელები, და თითქოს მზეც თან წაიღესო, მთაში ადრიანი შემოდგომა ჩამოდგა და ჩასაფრებულივით მოულოდნელად გამოხტა ზამთარიც.

ზეცისაკენ აუტყორცნია გრანიტის შუბები დათვისას. კავკასიონს განდგომილი, განმარტოებით დგას პირქუში და მედიდური, შეჭმუხნილ შუბლზე მიყინული თოვლის საბურველით.

უფსკრულის პირს, კლდის ნაპრალს მიყრდნობილი საათობით დგას ზვიად ზალიკაური. განიერ მკერდზე მკლავებგადაჯვარედინებულს, მაგრად შეუკრავს წარბთა წვრილი ტეხილი ზოლი. კუშტი და გულჩათხრობილი, ზვიადობით თვალდავსილი იმ მარადიულ კლდეთა ნატეხს წააგავს. ფიქრობს, და ფიქრი მისი ისეთივე მძიმეა, როგორც გარშემო დაყრილი ლოდები. შორიშორ ჩასმულ თაფლისფერ თვალებში და ხშირ წამწამთა ჩრდილში დაუნელებელი სიასპიტე მიჩქმალულა. ჯიქურად მოკუმულ ტუჩებს აუტანელი ტკივილი უმანჭავს. დროდადრო თავს აიქნევს, ძალუმ მხრებს გაშლის ხოლმე, თითქოს უხილავ მტერთან შებმა დააპირაო.

თვალიდან არ შორდება თავქვე მიმავალი ქარავანი და ეჩვენება, რომ დათვისას ნაოჭიან მკერდს ჯერაც ეფინება მიტოვებული კერების ვეჟანი ბოლი, რომ ჰაერში ისევ ირევიან წამსვლელთა უკანასკნელი შეძახილები, რომ სივრცეში უმოძრაოდ დაკიდულა მისი ყვირილი:

— არ წახვიდე, მაიაუ-უ!..



და ამ ყვირილში ისე აშკარად ესმის საკუთარი განწირულება, რომ უარესად გაასპიტებული შავად იქრუშება.

„მოღალატე ხარ და დაისჯები, იმ საათს, რა საათსაც შენ დააგდე ჩემი კერა, მე დავწყევლე შენზე ფიქრიც კი. მე წამოვიყვან ჩემ ბიჭებს. აქ დაიზრდებიან, ჩემთან. ისინი თვითონ მოინდომებენ დათვისაზე ყოფნას იმიტომ, რომ ზალიკაურად დაბადებულან. შენ კი იყავი ემაგასთან, ქმრის ურჩობა რო გაგაბედინა, გასწავლა ჩემი კერის განიავება... ჩინოს რაღას ვემდურო? მარტოკა მე მიმაჩნდა ის ძმად, იმისთვინ კი თურმე არც რა ვყოფილვარ, უცხოსავით წავიდა, დააგდო ყველაფერი, პირველი გაიქცა ბარის იოლ ცხოვრებისაკენ...“

უსასრულო ხეტიალში, ის შორით უვლიდა მიტოვებულ სოფლებს, ჩოხისაკენ გახედვა ზარავდა. ხალხს გაურბოდა, ბუნაგებს ეძებდა, რომ ზამთრის სუსხით გაავებულ მხეცებთან პირისპირ ჭიდილში დაენელებინა მწველი რისხვა. ის არ ეძებდა სავალ ბილიკებს, მიდიოდა პირდაპირ და დათვისას მადლობას ეუბნებოდა ხიფათისაგან გადარჩენისათვის. ის არსად არ ინახავდა ნაპერწკალს, რომ ვინმეს არ მიეგნო მისი კვალისათვის.

დღეები და ღამეები კი მიზოზინობდნენ, აჩრდილებივით მისდევდნენ ერთი მეორეს. ზამთარი მისთვის გრძელდებოდა გაუთავებელ კოშმარულ ძილღვიძილად და... სულ უფრო ხშირად მიქროდა უგზოუკვლოდ ქვევით, მთის ძირში, რომ იქედან კარგად დაენახა განდგომილი მთა დათვისა. არ ესმოდა, რომ დღითი-დღე უფრო საჭირო ხდებოდა დათვისასადმი მიფერფლილი გრძნობის და შესუსტებული რისხვის ხელოვნური გაღვივება...

ბოლოს შიშმომგვრელი აზრი აეკვიატა. ეჩვენებოდა, რომ დიდი ხანია დაიხოცნენ ყველა მისი ახლობელნი, რომ მის სიცოცხლეს დიდი ხანია ვადა გაუთავდა, მაგრამ მისჯილი აქვს მარად სიცოცხლე, აი ასეთი მარტოხელა, მიუსაფარი. და ერთხელ ეს ისე დაიჯერა, და ისე შეეშინდა დაჯერებულის, რომ ძლივს მიაღწია ნაცნობ კლდის ნაპრალს, უფსკრულის პირს. ღონეგამოლეული დაეცა ლოდებზე და საკუთარ ცრემლებად მოეჩვენა გასიფრიფანებული ყინულის ქვეშიდან გამონაჟური წვრილი, გამჭვირვალე რუ.

გულზვიადობაში მას არ შეუნიშნავს — თურმე დათვისას გაუბედავად მოადგა გაზაფხული. ადამიანს არ უნდოდა გაზაფხულის შემჩნევა და ზევით კი, კლდის თავზე ქორბუდა შემდგარიყო, მეფურად ყელმოღერებული უხმობდა ტოლს.

და როგორც უსასრულო ძილიდან გამოფხიზლებულმა, ასწია თავი ზვიადმა, ირმის ყვირილსააყოლა:

— მაიაუ-უ, სადა ხარ, ჩემო დარდო, როგორ დამაგდე მარტოკა?!

ეს სისხლი ყვიროდა მასში, ისე ყვიროდა, რომ აბრუებდა და გაბრუებულს მოეჩვენა, კლდის ნაპრალიდან აორთქლილ ნისლზე ოქროსთმიანი მაია იჯდა და უღიმოდა.

—მაი-ი-ი! — აღმოხდა კვნესასავით და ხელები გაშალა, რომ შერიგებულს ჩაეკრა გულში გაღიმებული გულისდარდი, მაგრამ ნისლმა მაია აიტაცა, წაიღო ზევით, ტრფობით დამთვრალ ქორბუდასაკენ.

არასდროს არ მოუკლავს ზვიადს ირემი. პატარაობიდანვე უყვარდა ირმის წყაროსთან მარილის დაყრა, რომ შორიახლოს ჩასაფრებული დამტკბარიყო ირმების სიხარულით... ახლა კი ნელა ასწია თოფი, ისე ნელა, თითქოს თოფი თავისთავად იწევდა ზევით.

„წავუღებ ჩვენებს. შერიგებისა იყოს. ამაზე კაი საჩუქარი რაღა იქნება...“ — უკრთოდა გონებაში და ნელა უმიზნებდა ქორბუდას. „ახლავე წავალ, წავუღებ...“ აუძგერა გული სიხარულმა და თოფის გრიალი მეხივით გასკდა ცისქვეშეთში.

შეირხა ირმის რქები. ტკივილმა თუ ასტყორცნა ვეებერთელა, გაზაფხულის ლხენით გაჟღენთილი სხეული და უკანვე დასცა კლდეს. წამოვიდა სასიკვდილოდ დაჭრილი ქორბუდა, დაგორდა კლდის შვერილებზე, ჩქარა, უფრო ჩქარა და ჩქარა. მოგორავდა, რქები ემტვრეოდა, რქებით სტეხდა კლდეს დიდრონ ნატეხებს. ადამიანი, რომელიც აქამდე თავის გულზვიადობაში ვერ ამჩნევდა გაზაფხულის მოსვლას, ახლა ხელებგაშლილი შეეგება შერიგების საჩუქარს, მაგრამ გალღობილ ყინულს ემძიმა გულამღერებული ადამიანი და ის, ქორბუდას რქით ოდნავ წამოდებული, მასთანვე ერთად გადაიჩეხა უფსკრულში...

ქვევით სოფლელებმა ნახეს და იცნეს ზვიად ზალიკაური, და შეატყობინეს სამგორში.

ჩამოვიდნენ სამგორელები ზვიადის ნეშტის დასაკრძალავად.

მაიას შავ თავშალიდან მოუჩანდა ელდით გათეთრებული თმის ზოლი.

ბიჭები დედას ეკვროდნენ, არ უნდოდათ იმის დანახვა, რაც სულ არ ჰგავდა მათ მამას.

ნატალას კი იმ დღეებში კრინტი არ დაუძრავს. უკარფანჯრო სახლივით იყო მისი სახე. არც წეს-ადათის აგებაში ჩარეულა. და მხოლოდ, როცა ყველაფერი გათავდა და ხალხი აჩქარდა შინ, სამგორში დაბრუნებას, მაშინ მიუტრიალდა ნატალა დათვისას მწვერვალს:

— წყეულ იყავ შენ, სიყვარულისა და თაყვანისცემის სამაგიეროდ მუდამ სიბოროტის და ტანჯვის მიმგებო. წყეულ იყავ, დღიდან შენი დაარსებისა რომ აძალებ ქალებს იტირონ თავისი გული. შენ არ გამოუშვი ის ჩვენთან ცოცხალი და წყეულ იყავ, კიდევ ერთი მსხვერპლის მიტაცებისათვის. იყავ და უდარაჯე მკვდრებს. მეტი აღარავინ შეგეწირება, შენ ვეღარ უმტრობ ადამიანს. წყეულ იყავ შენ, დღეის იქით მარტოობა მისჯილო, იყავ წყეულ!..

და შეძრწუნებული ხალხი მძიმე დუმილით გაუყვა თავქვე გაქცეულ ბილიკს, დაწყევლილ მთიდან რომ აშორებდა მათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. ცენტრში პროფ. ვ. გოგიბედაშვილი

# თვალის ერთი გადავლებით

„ოფიციალური გახსნა რესპუბლიკის ფიზიოთერაპიულ ინსტიტუტისა, ოქტომბრის რევოლუციის სახელობისა, ინიშნება კვირას, 13 ნოემბერს.

ამ დღის საზეიმო სხდომის მოსაწყობად ინიშნება კომისია შემდეგი შემადგენლობით: ექიმი გიორგი ნაზარიშვილი, აფთიაქის გამგე მეძმარიაშვილი და ეკონომკა ემიხი.

1921 წლის 24 ოქტომბერი, თბილისი".

ბრძანებას ხელს აწერს პროფესორი გაბრიელ ლამბარაშვილი.



ბიოქიმიური ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თამარ უგულავა

„რესპუბლიკის ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი!" ამ ომახიანი სახელწოდების იქით პატარა სამკურნალო დაწესებულება იდგა, ფიზიოთერაპიული საავადმყოფო, რომელსაც სულ სამი განყოფილება გააჩნდა: თერაპიული, გინეკოლოგიური და კლინიკური, პრიმიტიული სატალახო და ფიზიოთერაპიული დანადგარებით. ინსტიტუტის საექიმო შტატს კი რამდენიმე ექიმი შეადგენდა.

იმ დღეების მოსაგონებლად ახლა მხოლოდ ეს გაყვითლებული ბრძანების წიგნი და გახუნებული ფოტოსურათები დარჩენილა.

ეს მართლაც ძალიან პატარა დაწესებულება იყო, და მაინც გასაკვირია, რომ გაძარცვულ, გავერანებულ ქვეყანაში ახლად დამყარებულმა ხელისუფლებამ მისთვის მაინც გამოძებნა რაღაც სახსრები. იმ პირობებში, რომელშიც ინსტიტუტის თანამშრომლებს უხდებოდათ მუშაობა, ძნელია რაიმე წარმატებებზე ლაპარაკიც კი, მაგრამ ხელისუფლების ყურადღებამ და კიდევ იმან, რომ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ უანგარო მეცნიერები, დაუცხრომელი ენთუზიასტები, პროფესორები ივანე კონიაშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი და სხვები, განსაზღვრა ინსტიტუტის შემდგომი ბედი.

პროფესორები: გრიგოლ დიდებულიძე, შალვა ფარჯანიძე, გიორგი წითლანაძე, ალექსანდრე ბაკურაძე, მიხეილ ნოდია, ალექსანდრე აბულაძე... ყველა იმათ სახელს ვერც კი ჩამოთვლი, ვისმა შრომამ და თავდადებამ პატარა საავადმყოფო აქცია მრავალპროფილიან, მძლავრ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებად, ერთერთ მოწინავე ინსტიტუტად მთელს საბჭოთა კავშირში. ინსტიტუტი შეისწავლის საქართველოს მდიდარ საკურორტო რესურსებს, სხვადასხვა სახის ფიზიოთერაპიულ ფაქტორებს, არკვევს მათ სამკურნალო მიზნებისთვის გამოყენებას, ამზადებს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა კადრებს, ხელმძღვანელობს კურორტებზე სამეცნიერო-სამკურნალო საქმის დაყენებას.

ამ თეთრ, სვეტებიან შენობას მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მხოლოდ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი როდი იცნობენ. ქალაქში ჩამოსული ყველა ტურისტი თავს ვალდებულად თვლის დაათვალიეროს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი.

ახლა, როცა მის ბაზაზე კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა, კურორტის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა.

„იმისათვის, რომ მეცნიერება დაახლოებოდა პრაქტიკას და მეცნიერებს საშუალება ჰქონოდათ უშუალო დაკვირვება მოეხდინათ ავადმყოფებზე ახალი სამკურნალო მეთოდების გამოყენების დროს, მიღებულ იქნა დადგენილება ჩვენი ინსტიტუტის ბალნეოლოგიური კურორტის ბაზაზე გადმოტანის შესახებ, — ამბობს ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ვახტანგ გოგიბედაშვილი.

— როგორია შედეგი? — ვეკითხებით ჩვენ.

დირექტორი ხელებს ფართოდ შლის:

— რა თქმა უნდა, კარგი!

ინსტიტუტის შუქიან დერეფნებში ფუსფუსია. სამკურნალო ფიზკულტურის აბაზანასთან რიგი დგას. ხალხია მოსაცდელ ოთახებში, ვესტიბულში, ექიმების კაბინეტებთან.

— რა დაავადებებს მკურნალობენ თქვენთან? — ვეკითხებით პროფესორ გოგიბედაშვილს.

— უმჯობესია ჯერ იმ პრობლემებზე ვისაუბროთ, რომლებზეც ინსტიტუტი მუშაობს, — გვირჩევს ის. — მერე დაავადებებამდეც მივალთ.

ერთერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც შეისწავლის ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, გახლავთ მინერალური წყლების მოქმედება, მათი როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ხმარების დროს. ჩვენ შევისწავლით როგორც ძველ მინერალურ წყლებს — მათი მოქმედების მექანიზმს, ისე ახლად აღმოჩენილ წყაროებს.

აი, ახლა, მაგალითად, მინერალური წყალი აღმოჩნდა ასპინძაში. წყალი გასინჯა ჩვენმა ფიზიკურ-ქიმიურმა ლაბორატორიამ და დაასკვნა, რომ ის არის ესენტუკის და ჯავის წყლების ტიპისა. ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებით დადგინდა მისი მაღალი სამკურნალო თვისებები. ასპინძის წყალი შეიცავს დარიშხანს. ის რომ დარიშხანს დიდი რაოდენობით შეიცავდეს, ცხადია სასმელად აღარ გამოდგებოდა—საწამლავი იქნებოდა. მაგრამ ასპინძის წყალში ძალიან ცოტა და-

რიშხანია და ამ დარიშხნის წყალობით შესანიშნავ ეფექტს იძლევა სისხლნაკლებობის მკურნალობის დროს.

ამის შემდეგ ჩვენ ასპინძაში გავგზავნეთ ჰიდროგეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც დაადგინა, რომ წყალს დიდი დებიტი აქვს, ესე იგი, მიზანშეწონილია მისი ჩამოსხმა. თქვენ, ალბათ, მალე იხილავთ აფთიაქებში და მაღაზიის თაროებზე ბოთლებს ახალ ეტიკეტით „ვარძია". შესწავლის პროცესშია აგრეთვე ახლადაღმოჩენილი წყალი ასალციხეში.

შარშან ცაიშში გაემგზავრა ჩვენი ინსტიტუტისსამეცნიერო ექსპედიცია პროფესორ ფარჯანაძის ხელმძღვანელობით. მის შემადგენლობაში იყვნენ ნევროპათოლოგი, თერაპევტები და გინეკოლოგი. ექსპედიციამ შეისწავლა ცაიშის წყლის მოქმედების მექანიზმი და დაასკვნა, რომ ის გამოდგება სახსრების ქრონიკული ანთების სამკურნალოდ, გინეკოლოგიური დაავადებებისა და გულსისხლძარღვთა ზოგიერთი დაავადების დროს.

ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციებმა შეისწავლეს მინერალური წყლები და ტალახის საბადოები წყალტუბოში, ბორჯომში, ჯავაში, მენჯში, შოვში, უწერაში, ახტალაში და ამ ბაზებზე შეიქმნა ახალი კურორტები.

მეორე ძირითადი საკითხი, რომელსაც ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები სწავლობენ, ეს არის ფიზიოთერაპიული სამკურნალო საშუალებების შესწავლა.

ამჟამად დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ულტრაბგერების გამოყენებას მედიცინაში. მოგეხსენებათ, რა სასწაულებს ახდენს ულტრაბგერები ტექნიკაში. ახლა ულტრაბგერით უმაგრეს ლითონებს ჭრიან. ჩვენი ინსტიტუტი შეისწავლის ამ მეტად ეფექტურ საშუალებას. დადგინდა, რომ ულტრაბგერას აქვს უნარი განლიოს ნაწიბუროვანი ქსოვილი და დაუბრუნოს სახსრებს პირვანდელი მოქნილობა. წარმოიდგინეთ, რა შესანიშნავი შედეგის მიღება შეიძლება ულტრაბგერით ისეთი მძიმე დაავადების მკურნალობისას, როგორიცაა ინფექციური პოლიართრიტი (სახსრების ანთება).

ულტრაბგერით მკურნალობენ უშვილობას, თუ კი ის ანთებადი პროცესის შედეგია და გაპირობებულია შეხორცებებითა და ფალოპის მილების გაუვალობით.

ჩვენ შევისწავლით აგრეთვე ჰიდროაერონიზაციის მოქმედებას. როგორც მოგეხსენებათ, ჰაერში გვხვდება დადებითად და უარყოფითად დამუხტული იონები. თუ კი ჩვენ ამ იონების კონცენტრაციას გავზრდით, იონებით გავამდიდრებთ ჰაერს, შეგვიძლია წარმატებით ვუმკურნალოთ ბრონქიალურ ასთმას, ასევე სასუნთქი გზების სხვა დაავადებებს, ჰიპერტონიასა და ათეროსკლეროზს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი იონებით მდიდარი ჰაერი გვხვდება იმ ადგილებში, სადაც წყალი დიდი სიმაღლიდან ეცემა და იშლება, ერთი სიტყვით — ჩანჩქერებთან.

ახლა მეცნიერებმა ხელოვნურად შექმნეს ამგვარი ჰაერის მიმწოდებელი ხელსაწყო გნებავთ — გაჩვენებთ.



პროფესორი შ. ფარჯანაძე, ექიმები თ. კაკაბაძე და ფ. თავამაიშვილი შემოვლის დროს



ექიმები: მ. შარაფიანი, მ. მელიქიშვილი და ნ. ცხომელიძე ბიბლიოთეკაში

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე ოლღა ტუღუში



... ოთახში შემოჰყავთ წელში ორად მოხრილი ქალი. თითქოს იღრჩობა, მისი სუნთქვა სტვენას უფრო ჰგავს, შუბლზე ოფლი ასკდება, თვალები გუგებიდან გადმოცვენას ლამობენ.

ფიზიოთერაპიული განყოფილების გამგე ეკატერინე ჩილინგარიშვილი ავადმყოფს მაღალ დანადგართან სვამს და ხელსაწყოს ურთავს. ქალი ხარბად ეწაფება ჰაერის ჭავლს. გადის წუთები და ავადმყოფს სახე უწყნარდება, სუნთქვა ნორმალური უხდება.

ეკატერინე ალერსით უსვამს ხელს დანადგარს:

— იცით, ეს ხელსაწყო ერთადერთია მთელს რესპუბლიკაში, მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტში დგას.

ვუახლოვდებით აპარატს, იქიდან ნოტიო, რბილი ჰაერი გვცემს და თითქოს მკერდს გვიმსუბუქებს. ვზივართ და ვფიქრობთ: რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი აპარატი ყველგან იდგას, ყველა საავადმყოფოში და თერაპიულ განყოფილებაში.

ამ ინსტიტუტის ფიზიოთერაპიული განყოფილება თავისი აღჭურვილობით ერთერთი პირველთაგანია მთელს საბჭოთა კავშირში. აქ დღეში 400—500 პროცედურა ტარდება. განყოფილება ემსახურება როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ განყოფილებებს.

აქ ტარდება მკურნალობა ხელოვნური მზის სხივებით, მოკლეტალღიანი დიათერმიით, დარსონვალით, ულტრამაღალი სიხშირის დენით...

— ალბათ იცით, — განაგრძობს ჩვენი მასპინძელი, — რომ ულტრაიისფერი სხივები — ხელოვნური მზის სხივები დიდიხანია



ინსტიტუტის სწავლული მდივანი
მერი ჯულელი



თამარ მახვილაძე და
ოლღა საყვარელიძე

გამოიყენება მედიცინაში. ჩვენ ახლა ვმუშაობთ მისი მოქმედების უფრო ღრმა შესწავლისათვის.

ჩვენი ინსტიტუტის ერთერთმა უძველესმა მეცნიერ თანამშრომელმა სერგო იარალოვმა საქართველოში პირველმა დაიწყო კვარცით, ესე იგი, ულტრაიისფერი სხივებით მკურნალობის საკითხის შესწავლა.

დიდი მუშაობაა ჩატარებული საქართველოს კლიმატის შესწავლის მხრივაც. ვინ იცის, რამდენი საკვლევი სამუშაო ჩატარებულა აბასთუმანში, ლიბანში, ბორჯომის ხეობაში, შოვში, ბახმაროზე, ზღვის სანაპირო კურორტებზე... ჩვენს კლიმატოლოგებს: რუსუდან გოგიბედაშვილს, ლუბა ჯიქიას და ნინო გონგლაძეს იშვიათად ნახავთ თბილისში.

აი, რა საკითხებს შეისწავლის ძირითადში ჩვენი ინსტიტუტი, ხოლო თუ უფრო დაწვრილებით გაცნობა გსურთ, მოდით, განყოფილებებს და ჩვენს სტაციონარს დავუყვეთ.

სტაციონარში მოხვედრა არც თუ ისე იოლი საქმეა, ოღონდ განა ჩვენთვის—ავადმყოფებისათვის. ამიტომ, რომ სტაციონარი პატარაა და ოდნავადაც ვერ უწვდება მოთხოვნილებას. არ ვიცით, ვის უდევს ამაში „ბრალი“ — ბალნეოლოგიური კურორტის წყლების შესანიშნავ მოქმედებას, თუ გულისხმიერ ექიმებს მაკა მელიქიშვილს, თინა კაკაბაძეს, ფატი თავამაიშვილს, სოფიო ბააზოვასა და თინა ქადაგიძეს... მაგრამ ფაქტი კი ისაა, რომ აქ მოხვედრის სურვილი იმდენს აქვს...

საბედნიეროდ, პროფესორ ვახტანგ გოგიბედაშვილს პირდაპირ გადმოსჩქეფს ოპტიმიზმი:

— ყველას ეშველება, ყველას გავწვდებით. აი, ახალი წლიდან მწყობრში ჩადგება კიდევ ორი დიდი ახალი კორპუსი და მაშინ ნახეთ, რა სტაციონარი გვექნება — თანამედროვე, კეთილმოწყობილი...

— ჩვენ რაღას გვპირებთ, პატივცემულო ვახტანგ? — კარი იღება და მის ჩარჩოში, წიგნებით სავსე კედლების ფონზე ჭაღარაშერთული ქალი დგება.

— თქვენ? — დიდ, ნათელ ოთახებს. მგონი, თქვენ რაღაცის თქმა გსურთ, ქალბატონო ოლღა?

— დიახ. მე მინდა კარგი, უახლესი კონსტრუქციის სტელაჟები, კოხტა მაგიდები, ლამაზი, მსუბუქი სკამები...

— ოჰო, ყველაფერი ლამაზი, კოხტა და უახლესი კონსტრუქციის, არა? — [illegible] ინსტიტუტის დირექტორი,—თქვენთვის ყველაფერი იქნება, ქალბატონო ოლღა, — და გვიბრუნდება: — ოლღა ტუღუში ჩვენი ინსტიტუტის ვეტერანია, ოცდახუთი წელია, რაც ჩვენთან მუშაობს და იცით, ზოგჯერ რას ვფიქრობ? ნეტავი იმ დაწესებულებას, სადაც ბევრი ამისთანა ენთუზიასტი ტრიალებს. სამწუხაროდ, ახლა აქ არ არიან, თორემ გაგაცნობდით, ჩვენს ბიბლიოგრაფს ირინა ლუკინას და ინსტიტუტის ფონდების გამგეს მაგდა კლიმიაშვილს.

ოლღა ტუღუშის კმაყოფილი სახე კარებში იმალება, ჩვენ კიბეებზე, მაღლა გზას განვაგრძობთ.

ბიოქიმიურ ლაბორატორიაში გვაცნობენ უფროს მეცნიერ თანამშრომლებს ლეილა ტყემალაძეს და თამარ უგულავას. ეს თამარის მოხსენებას მოუსმინეს წელს მოსკოვში ბიოქიმიკოსთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებმა. თამარ უგულავა ულტრაიისფერი სხივების მოქმედებას სწავლობს და მისი მოხსენებაც ამ საკითხს შეეხებოდა.

ფუნქციონალური განყოფილების გამგეს მარგარიტა შარაფიანსა და დამსახურებულ ექიმს ნინო ცხომელიძეს იცნობენ, როგორც ჩინებულ სპეციალისტებსა და კარგ კურორტოლოგებს. ისინი ძალიან მცირე ხნით იცლიან ჩვენთვის — გარეთ დიდი რიგი დგას. ბალნეოლოგიური კურორტი ხომ ისე უხდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს!

... დერეფანში ახალგაზრდა ქალი მოდის. მას სიმპათიური, ალერსიანი სახე აქვს.

მასპინძელი გვაცნობს.

— ეს ჩვენი ინსტიტუტის სწავლული მდივანია.

ჩვენ ვიოცებთ:

— ასე ახალგაზრდა?

— დიახ. და ისეთი მცოდნე, განათლებული...

საქებ ეპითეტებს ბოლო არ უჩანს. მაგრამ როცა თვითონ მერის ვეკითხებით მისი მუშაობის შესახებ, ის თავს იქნევს:

— ჩემს შესახებ ნურაფერს ჩაიწერთ, არაა საინტერესო.

მერი ჯულელს არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი.

... დერეფნებში ფუსფუსი იკლებს — სამუშაო დღე მთავრდება. თეთრხალათიანები უბრუნდებიან ოჯახებს.

დღე იწურება და ჩვენც ვტოვებთ ინსტიტუტს.

ეს იყო მართლაც საინტერესო ნაცნობობის დღე. ყველა ჩვენს ახალ ნაცნობს ვერც კი ჩამოვთვლით — ინსტიტუტის თანამშრომლების 70 პროცენტს ხომ ქალები შეადგენენ. ყველაფრის აღნუსხვაც შეუძლებელია, რადგან საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ვეებერთელა დაწესებულებაა დიდი და მძლავრი კოლექტივით, რადგან დიდიხანია წავიდა ის დრო, როცა პატარა ფიზიოთერაპიულმა საავადმყოფომ იზეიმა თავისი დაარსება და ახლა მხრებგაშლილი, დაჭარმაგებული მიდის ახალი გამარჯვებებისკენ.

**ნ. კასრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლმეურნეობის

მან ხელი წყნარად ჩამოგვართვა. კეთილი, წყლიანი თვალები ჰქონდა და ღიმილი უხდებოდა. სასილოსე მანქანასთან ზურგით მდგომი, ოდნავ ტანმორჩილი გვეჩვენა. ტრაქტორის ხმაურში ჩვენ მას ხელებით ველაპარაკებოდით. ის იცინოდა და წყნარად პასუხობდა...

ჩვენს წინ იდგა ვერა კობიაშვილი, თელავის რაიონის, სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ოდნავ გამხდარი, მაგრამ სანდომიანი სახის ქალი, რომელსაც მხრებზე ჩამოცურებულ მოსახვევზე მტვერი დასდებოდა. სასილოსე ორმოებთან მომუშავე იოსებ ყარაულაშვილის ბრიგადის წევრების მხარდამხარ შრომობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეც.

მზე კი უკვე შუბის ტარზე წამოსულიყო და ნაირფერად ბრწყინავდა ალაზნის ველი. შორს, ლეკის მთასთან, ქარს გამოტაცებული ღრუბლის პატარა ნაჭერი ტაატით მისცურავდა. შემოდგომის მსუბუქი ნისლი იწვა მთებზე.

ცივგომბორის კალთებში ჩამჯდარ პატარა სოფელში დაიწყო ამ ადამიანის ცხოვრება.

უყვარდა ვერას, გულით უყვარდა ეს მშობლიური კუთხე, მზეზე მოლაპლაპე ალაზანი, ნისლმოხვეული ბებერი კავკასიონის დაკბილული ქედები.

გუშინდელივით ახსოვს ყველაფერი.

...გულით სურდა აგრონომი გამხდარიყო, მალე დაბრუნებულიყო მშობლიურ სოფელში, გაეყოლებინა ადამიანები, გაეტეხა ყამირი, ემსახურა ხალხისათვის. ინსტიტუტში სწავლისას ვერას ზოგჯერ ღამეები არ ეძინა ამაზე ფიქრით. ოცნებობდა მომავალზე, ოჯახზე.., გულდასმით ჩაჰკირკიტებდა წიგნებს და სწავლობდა, სწავლობდა...

ახალგაზრდა აგრონომმა სამუშაოდ მშობლიური სოფელი აირჩია. იყო 1945 წელი. ღირსსახსოვარი, დაუვიწყარი წელი. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების წელი.

სოფელი ახალი სიცოცხლით სუნთქავდა. თანდათან ბრუნდებოდნენ ყოფილი ტრაქტორისტები და კომბაინერები, მწყემსები.. ფრონტზე წასული ვაჟკაცები. და ისევ ირწეოდა აკვნები, ისევ თამაშობდნენ ბავშვები და გაბრწყინებული დედები პატარების ჭრელ ჩვრებს ისევ ფენდნენ სახლების წინ გაბმულ თოკებზე...

პირველ ხანებში ვერა კობიაშვილი კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, შემდეგ ახალგაზრდა აგრონომი შეთავსებით მუშაობდა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნად... ერთხანს მეფრინველეობის ფერმასაც განაგებდა.

სოფელში ყველას შეუყვარდა ეს მუყაითი და გამრჯე ქალიშვილი და ვერაც არ ზოგავდა არაფერს, რათა გაემართლებინა უფროსი ამხანაგების ნდობა, არ შეერცხვინა კომუნისტის სახელი.

მალე ვერა ვარდისუბნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს იყო ვერა კობიაშვილისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო დავალება. მაგრამ ახალგაზრდა ქალმა ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა.

დღეს ვერა კობიაშვილი ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას უდგას სათავეში. ყველაფერს ასწრებს ეს ორმოც წელს მიტანებული, დაულეველი ენერგიით აღსავსე ქალი. იშვიათად ნახავთ გამგეობაშიო — გვითხრეს მის შესახებ. ჩვენ მას მართლაც სასილოსე ორმოებთან მივაგენით...

187 ჰექტარზეა გადაჭიმული ვარდისუბნელ კოლმეურნეთა ვენახები. მსხმოიარე ვაზს 108 ჰექტარი უკავია. მართალია, წლევანდელმა გვალვამ ზიანი მიაყენა ვაზს, მაგრამ კარგი მოვლის წყალობით ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებულ 50 ცენტნერზე მეტი ყურძენი ჩააბარეს.

მევენახეობასთან ერთად კოლმეურნეობის ძირითად დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. საკუთარი სახსრებით აგებულ მეძროხეობისა და მეღორეობის მექანიზებულ ფერმებში მუყაითად შრომობენ სოფლის ახალგაზრდები: გუგული შაშურიშვილი, ოთარ ყარაულაშვილი, ნანული კობიაშვილი და სხვები. კოლმეურნეობამ წელს გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა, ხოლო კვერცხის მიყიდვის მხრივ ვარდისუბნელები რაიონში პირველები არიან.

თორმეტი ბრიგადა შრომობს დღეს საკოლმეურნეო დოვლათის დაბინავებაზე. სასილოსედ ამზადებენ სიყვითლეშეპარულ სიმინდს, უკვე აიღეს მარცვლეული. გაიკრიფა ვენახები. ალაზანთან კი, ნამდაკრულ ველზე, მზრალად ხვნას შესდგომიან პირველი ტრაქტორები...

ვერა კობიაშვილს ერთი წუთითაც არა აქვს მოსვენება. ანდა, რა დაასვენებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

—ჩვენ გულდასმით გავეცანით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას, — გვეუბნება ვერა კობიაშვილი.—კომუნისტური საზოგადოების დროს ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებათა ლიკვიდაციისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობასთან ერთად უნდა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, საჭიროა სოფლის მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სწრაფი დანერგვა, კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდება. სოფელში ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები: იგეგმება და მალე რეალობად იქცევა ალაზნიდან ახალი სარწყავი არხის გამოყვანა, რომელიც მორწყავს ათეულობით ჰექტარ გვალვიან მიწას; აშენდება პურის ახალი საცხობი და საბავშვო ბაგა...

* * *

როცა ალაზნის ველს ღამის ბინდი გადაეფარება, იგი ჭიშკარს შეაღებს.

— მოვედი, — იძახის ვერა. მისკენ ბავშვები გამორბიან. ისინი ორნი არიან — დარეჯანი და მირიანი. დედა დაღლილი ხელებით ეხვევა შვილებს და სათუთად კოცნის მათ. მოდის მამაც და მერე ყველა ერთად ჯდება სავახშმოდ. გვიან ქრება მათ სახლში შუქი.

მეორე დღეს კი უთენია კოლმეურნეობის კანტორის ეზოდან ველ-მინდვრებსა და ვენახებში ხმაურით გადიან ხალხით სავსე მანქანები. იწყება კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჩვეულებრივი სამუშაო დღე.

ა. აბესაძე,
თელავი.

# თავმჯდომარე

# იქნება მეტი ბოსტნეული!



კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 კომუნისტური შრომის ბრიგადაში ვართ, გვსურს გავიცნოთ ბოსტნეულის მაღალი მოსავლის ოსტატები. დედაქალაქის მშრომელთა სუფრაზე ყველაზე ადრე სწორედ მათ მიერ მოწეული პამიდორი და კიტრი, ნაირნაირი მწვანილეული გაჩნდება ხოლმე.

ბრიგადირ შოთა ჯიშკარიანს ვესაუბრებით.

— ამას წინათ, ჩვენი ბრიგადის მუშაობის გამოცდილების შესახებ ბიულეტენი გამოუშვეს. მასში 16 სურათი იყო დაბეჭდილი. არ იფიქროთ, თითქოს მარტო ისინი იყვნენ მოწინავენი. ყველას სურათი რომ მოეთავსებინათ, ფურცელი სურათებით აჭრელდებოდა. ჩვენს ბრიგადაში ყველა, ქალიც და კაციც, ბოსტნეულის მაღალ მოსავალს იღებს. რომელი რომელს სჯობია, ძნელი სათქმელია.

ბოლოს მაინც ოლია ოჩიგავაზე შეჩერდა.

ოლიას ნაკვეთის დასათვალიერებლად მივდივართ.

თვალს იტაცებს საუკეთესოდ მოვლილი ნიადაგი. არსად სარეველა, არც ერთი გოჯი მიწა უქმად. გეგონებათ, უზარმაზარი ხალიჩა გულმოდგინედ მოუქარგავთო. აქეთ ნაყოფით დახუნძლული პამიდორის მაღალი ბუჩქები, იქით ხასხასა მწვანილის, ჭარხლის, კომბოსტოს, სტაფილოს კვლები, ჭერმის, ატმის ნარგავები, ქარსაფარი ზოლები.

ოლია ოჩიგავამ ჩვენი ვინაობა რომ გაიგო, იმ წუთსავე გვითხრა: მარო ჯიშკარიანი, მარო დეკანოსიძე, ნინო ჩარგეიშვილი და სხვები შრომაში არ ჩამომივარდებიანო.

ბრიგადის თვითეულ წევრზე მოსავლელად ნახევარი ჰექტარი ფართობია გაპიროვნებული. ყველაზე წამყვანი კულტურა მათთან პამიდორია, თუმცა ისპანახის, ბოლოკის, წიწმატის, კიტრის და სხვა ბოსტნეულის რამოდენიმე მოსავალიც მოჰყავთ წელიწადში.

ყოველწლიურად კრწანისელებს „მაიაკის“ ჯიშის პამიდორის სარეკორდო მოსავალი მოჰყავთ. პამიდორის მაღალი მოსავლის მოყვანითაა სწორედ სახელგანთქმული ოლია ოჩიგავაც. მან ჰექტარზე 38 ტონა პამიდორი მიიღო, გეგმა კი 21 ტონას ითვალისწინებდა.

— პამიდორს ბავშვივით უნდა მოვლა, — ამბობს ოლია, — მასზე ზრუნვას იანვარში ვიწყებთ და შემოდგომაზე ძლივს ვათავებთ.

ყოველწლიურად ოლია ოჩიგავა 15 იანვრიდან იწყებს პამიდორის თესვას კვალსათბურებში. ნათეს ფართობს 4-ჯერ რწყავს და ბორდოს ხსნარით სწამლავს სოკოვანი დაავადების თავიდან ასაცილებლად. მარტის დამდეგიდან, გამეჩხერების მიზნით, პამიდორს სხვა კვალსათბურებში რგავს, იქაც არ აკლებს რწყვასა და შეწამვლას.

ღია გრუნტში ჩითილის გადატანამდე, დაბარულ ნიადაგს შეწამლავს და მინერალური სასუქით ანოყიერებს. 3 დღის შემდეგ ნერგებს წინასწარ გამზადებულ ბუდეებში რგავს.

ჩვეულებრივ პირობებში მცენარეს 4-5-ჯერ უნდა მორწყვა, გვალვიან ამინდში კი—7-8-ჯერ. გამრჯე ქალი 4-ჯერ თოხნის, თან პერიოდულად, საჭიროების მიხედვით ატარებს ნერგების შეწამვლას, გამოსაკვებად იყენებს წუნწუხს. ორჯერ მორწყვის შემდეგ პამიდორს აშორებს ზედმეტ ყლორტებს და ჭიგოზე აკრავს.

ასეთი მოვლის შედეგად ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, უხვ მოსავალს იძლევა პამიდორი.

ოლიას წაუკითხავი არ დარჩება არც ერთი ახალი წიგნი მებოსტნეობის შესახებ. მეცნიერების მიღწევების გამოყენება და გულმოდგინე შრომაა სწორედ მისი გამარჯვების საფუძველი.

ოლია კმაყოფილია თავისი შრომის ფულადი ანაზღაურებით, ყოველწლიურად რამოდენიმე ათას მანეთს იღებს, პრემიები კი იმდენჯერ მიიღო, დათვლა უჭირს.

* * *

— ჩემი პატარა ოჯახი მინდა გაგაცნოთ! — გვეპატიჟება ქალი.

სუფთა, კრიალა ქუჩას მივყვებით.

გზის პირას ჩარიგებული ხეხილები ცოცხალ ღობედ შეკრულან.

ბავშვები ასფალტზე „კლასობანას“ თამაშობენ.

— მანანას და მიშას ბებიას სტუმრები მოჰყავს! — დაიძახა შავტუხა ბიჭუნამ.

ბავშვის ნათქვამს ყური არ ვათხოვეთ. რას ვიფიქრებდით, რომ ჩვენს გვერდით მომავალი, კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, თმაში ერთი ღერი თეთრიც რომ არ ურევია, ბებია იყო.

— ისეთი ვაჟკაცები მყავს! — ეამაყება ოლიას. — გივი ინჟინერია, აბელი — მასწავლებელი.

თან სევდიანად დასძენს: — ქვრივმა ქალმა უმაღლესი დავამთავრებინე ორივე შვილს. ბავშვები პატარები მყავდნენ, როცა მამა გარდაეცვალათ. მისი სახეც კი ვერ დაიხსომეს.

...ლამაზი, ორსართულიანი სახლის კიბეებზე მიგვიძღვის ოლია. ფართო აივანი, ხუთი ოთახი. სასტუმრო ოთახში ტელევიზორი, რადიომიმღები. ეზოში ვაზის ხეივანი, ხეხილის ნარგავები, ხეების ქვეშ სტაფილო, მწვანილი, ღობის გასწვრივ გაბარჯღული ლეღვები.

შინ და გარეთ ლაზათი და სისუფთავე, იდეალური სისუფთავე. ყველაფერი გულმოდგინედ მოვლილია ოჯახში, ისე როგორც მეურნეობაში.

ჩვენი დიადი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობს ოლია. ახარებს საბჭოთა სამშობლოს ყოველი გამარჯვება — იური გაგარინისა და გერმან ტიტოვის გაფრენა კოსმოსში და ღელვით იგონებს იმ დღეებს:

— გვიან ღამემდე ვიჯექი რადიოსთან. მოუთმენლად ველოდი ტიტოვის დაშვებას დედამიწაზე, დილაადრიან გამეღვიძა, ჯერ არ იყო დაწყებული რადიოგადაცემა. როცა ხომალდი „აღმოსავლეთ — 2“ დედამიწაზე მშვიდობით დაეშვა, სიამაყის გრძნობით ავივსე. მართლაც ახალი წყობილება შობს ახალ ადამიანს, კომუნიზმი ბადებს გმირებს.

ოლია ზეპირად ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს: „თვითეული წარმოებისა და კოლმეურნეობის მიერ გეგმის შესრულება, ეს არის გაფრენა მომავალში“. მერე უმატებს: ეს მეც მეხებაო.

შარშან № 1 ბრიგადამ სახელმწიფოს ჩააბარა 160 ტონა ბოსტნეული, ნაცვლად 135 ტონისა. წელს ბრიგადა მიიღებს და სახელმწიფოს ჩააბარებს 332 ტონა მაღალხარისხოვან ბოსტნეულს, შარშანდელთან შედარებით 2-ჯერ მეტს. ბრიგადა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნას ღირსეულად შეხვდა, ნახევარი წლის შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშა ისევ შეინარჩუნა.

ჩვენი პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული დიადი პროგრამა კომუნისტური წყობილების უძლეველობაზე მიუთითებს, ჩვენი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში.

ოლია ამაყობს, რომ ამ ბედნიერ დროში ცხოვრობს.

მარიამ დელბაშიშვილი,
მედეა რამიშვილი.

8516

ლიდია მეგრელიძე

# მშვიდობა ხალხებს!

ო, ჩემო ლექსო,
ცისკრის შუქზე აისხი ფრთები,
შენ ხომ გადურჩი
აზვავებულ ზვავთა დიდობას, —
გაჰკარ, გაფრინდი,
გადალახე ყინულის მთები
და მიახარე
მთელი ქვეყნის ხალხებს მშვიდობა!...
კრემლის საათი
განუწყვეტლივ რეკს და წკრიალებს:
„მშვიდობა დედებს,
მთელი ქვეყნის, მშვიდად დაბერდით“!..
ჩვენს ქვეყანას რომ
ცისარტყელა თავს დაცქრიალებს:
„მშვიდობა დედებს, მთელი ქვეყნის“...
— გულო გამხნევდი:
რა ლამაზია, მომხიბვლელი
ეს განთიადი.
მე მუხლს მოვიდრეკ დაღუპული გმირების ფერფლთან,
ჩვენ შეგვაერთებს
მეგობრობის მცნება დიადი,
და ომის ღმერთი
დაემხობა მშვიდობის ძეგლთან.

# მაშ, რატომ მიხმობს სამშობლო!

რომ სიოს ფრთებით აფრენილს
მანანავებდეს ეთერი,
მწვავდეს შენი მზის ნათელი
და შენი მთების ელფერი...
რომ ვარსკვლავეთის კიდემდე
თან ავყვე ფიქრთა ქარავნებს,
რომ თანამგზავრის ხმაური
ხშირ-ხშირად ძილსაც მპარავდეს,
და შენს მინდვრებში მოსული
ია მუხლამდე მფარავდეს...
რომ მაღაროში მაღალი
მთის გულის ფეთქვა ვისმინო,
სანგრევის ლამპიონები
სხვა ეშხით ავაციმციმო,
და ჯალამბარის საჭესთან
მთების ასულმა ვიცინო...
ცისკრისჟამს პლანტაციებში
ველს მზედ არ გადავენათო,
ზვარში ბარი არ მშვენოდეს,
ომში ხმალი არ შემმართო...
თუ მტერს ლხინი არ ვაშორო,
ქალი ვაჟკაცად არ ვიქცე, —
მაშ, რატომ მიხმობს სამშობლო,
მაშ, მკერდში გული რად მიცემს?

ეთერ ჯლამაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეფრინველეთა ქალაქი

საკდესის ფოტოქრონიკა

თამარ კვანტალიანი

გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა



ძნელია წარმოიდგინო კაცმა ერთად თავმოყრილი ამდენი ფრინველი — თეთრი და ჭრელი, დიდი და პატარა. საამქროთა ეზოები მოფენილია სხვადასხვა ჯიშის ქათმებით —რუსული თეთრით, ნუიგემშირის სახორცე-საკვერცხით, ავსტროლორპით და მათი მეტისებით. ისმის განუწყვეტელი კრიახი: თვალს ვერ აშორებ სადედლე, წიწილების გამოზრდის, კოლონიურ და საინკუბაციო საამქროებს.

ოთხას ჰექტარზეა გადაჭიმული გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა.

ორასი ჰექტარი მარტო სახნავ-სათეს ფართობს უჭირავს. ეს არც არის გასაკვირი, როცა დღეში ერთ დედალს საკვებად მარტო მარცვალი ასოცდაათი გრამი სჭირდება. ამასთან, აუცილებელია ცოცხალი საკვები — ბალახი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფაბრიკა 200.000-ზე მეტ ფრთა ფრინველს ითვლის და მარტო ერთ დღეში მათ გამოკვებაზე თვრამეტი ტონა მარცვალი იხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭება, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი შრომის გაწევა უხდება ფაბრიკის კოლექტივს.

ამ საქმეს მეფრინველეები კარგად ართმევენ თავს. 1948 წელს — ფაბრიკის დაარსების მეორე წელს — თუ მხოლოდ 7.500 კვერცხმდებელი დედალი ჰყავდათ, ახლა 61.000 დედალი ჰყავთ. მარტო კვერცხი წელს 8 მილიონ 250 ათასი ცალი უნდა მიიღონ, ხორცი — 860 ტონა.

გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი, აღფრთოვანებული სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, თავდადებით იბრძვის ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

წარმატებები, რომლებსაც ფაბრიკამ მიაღწია, ზღვარი როდია. დიადი შვიდწლიანი გეგმა შესანიშნავ პერსპექტივებს უსახავს ამ საწარმოს: შვიდწლედის ბოლოს ფაბრიკას ეყოლება მარტო კვერცხმდებელი დედალი 170 ათასი ფრთა; კვერცხის წარმოება მიაღწევს 25 მილიონ ცალს, ხოლო ხორცისა — 600 ტონას. სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნილება ფრინველის ხორცზე. ფაბრიკა არა თუ ფეხდაფეხ მიჰყვება ამ მოთხოვნილებას, არამედ უსწრებს კიდეც. დღითიდღე იზრდება მისი პროდუქციის გასაღების ფარგლები.

გაგრაში მეფრინველეობის ფაბრიკის დაარსება კარგი კლიმატური პირობებით არის ნაკარნახევი. ფაბრიკას დასავლეთით ზღვა აკრავს, აღმოსავლეთით თავს დასცქერის მწვანედ აქოჩრილი მთები, ჩრდილოეთითაც მთებია და ცივი ჰაერის შემოჭრას აფერხებენ. ფაბრიკის ტერიტორიაზე უხვბალახიანი მინდვრებია, ფრინველების გასაშვები საძოვრები, ამასთან, ითესება საბალახო იონჯა, შვრია ცერცველათი, სიმინდი, ჭარხალი, ვიტამინური გოგრა, სასილოსე სიმინდი.

ფაბრიკის საამქროებიდან ერთერთი წამყვანია საინკუბაციო საამქრო. აქ ხდება ფრინველის გამოჩეკა. ახალგამოჩეკილ ფრინველის შენარჩუნებაზე კი დიდად არის დამოკიდებული ფაბრიკის ეკონომიური ძლიერება. როცა ჩვენს ქვეყანას მოედო პატრიოტული მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისათვის, მას აფხაზეთში ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის საინკუბაციო საამქროს კომკავშირელი ქალები. მათ ბევრი მოწინავე მეთოდი დანერგეს მუშაობაში, მაგალითად, შემოიღეს ინკუბატორის კაბინაში კვერცხის სათბობი ჩამჩების გადანაცვლებისა და გაგრილების შრომატევადი პროცესი. ამან ბევრად აამაღლა ინკუბატორის გამოსავლიანობა. კომკავშირულმა ბრიგადამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახელმოხვეჭილი მეფრინველე ქალიშვილები ანტონინა რიბალჩენკო, თამარ კვანტალიანი, ვალია ბუხტიაროვა, ტაისა ფილატოვა, ვალია ლებედევა, კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი მოიხვეჭა. ბრიგადამ მიმდინარე წლის მარტო პირველ რვა თვეში გამოიყვანა 800 ათასამდე წიწილა. წლიური გეგმა კი 425 ათასი წიწილის გამოყვანას ითვალისწინებს.



უფროსი მეფრინველე ს. გეტმანსკაია.

გამოჩეკიდან 60 დღის მანძილზე წიწილების გამოზრდას ხელმძღვანელობს ზოოტექნიკოსი რუსუდან ლომიძე. პარტიის XXII ყრილობას მიუძღვნა წიწილების გამოზრდის საამქრომ თავისი შრომითი საჩუქარი — 92 პროცენტით შეინარჩუნა წიწილები და 400.000 ფრთა ფრინველი გამოზარდა. საამქროში ისეთი მეფრინველეებიც არიან, რომლებმაც წიწილების შენარჩუნების მაჩვენებელი 98 პროცენტამდე გაზარდეს. ესენი არიან ეკატერინე გოროდიცკაია და ევდოკია ზადოროჟნაია.

კომკავშირელი მეფრინველეებიდან ხუთი დაუსწრებლად იღებს უმაღლეს განათლებას, 18 კი საღამოს სკოლაში სწავლობს. ახალგაზრდა მეფრინველეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ასპირანტი აკაკი მიქაძე — ანტიბიოტიკური ლაბორატორიის გამგე.

მეფრინველეებს კარგი საცხოვრებელი პირობები აქვთ. მათი ოჯახებისათვის გახსნილია სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, კინო, კლუბი. ბინები ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. ბევრს აქვს ტელევიზორი, რომლითაც ნახულობენ გადმოცემებს სოჭიდან. ფაბრიკის მთელი ტერიტორია კეთილმოწყობილ ქალაქს მოგვაგონებს.

ვლ. თორდუა

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნგრეთისა და საქართველოს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში საქართველოს ჩემპიონმა რენე აბუანდაძემ ქალთა შორის ფინალური შეხვედრა უნგრელ კ. ბარდოცისთან თავის შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარა და პირველობაც მოწინააღმდეგეს დაუთმო.

მალე რენეს რევანშის აღების შესაძლებლობა მიეცა. ის უნგრელ კ. ბარდოცისთან პირისპირ იდგა უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე.

ქართველმა სპორტის ოსტატმა ძლიერი დარტყმებით დაამარცხა გამოცდილი მეტოქე და რევანშიც აიღო. თბილისელი სტუდენტის ტრიუმფალური მსვლელობის შეჩერება ვერც ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ე. გონდუხოვამ შეძლო. რ. აბუანდაძემ წაუგებლად ჩაატარა შეჯიბრება და მოიპოვა საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონის ტიტული.

დიდ წარმატებას მიაღწია რენე აბუანდაძემ ქალთა წყვილების ფინალურ შეჯიბრებაშიც, სადაც ირინე რიაზანოვასთან ერთად დაამარცხა უნგრელ კ. ბარდოცისა და ჩეხ ე. გონდუხოვას ინტერნაციონალური წყვილი და კიდევ ერთი პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ირინე რიაზანოვამ ბურთის პირველ დარტყმისთანავე იგრძნო ქალთა შორის იტალიის ჩემპიონის, ჩოგბურთელ რამორინოს სიძლიერე. მას მთელი ფიზიკური და მორალური ძალების მობილიზება მოუხდა, რომ თამაში მოეგო.

თბილისელმა სპორტის ოსტატმა ი. რიაზანოვამ დაძაბული ორთაბრძოლა პირველი უნივერსიადის ჩემპიონ ჩეხ სტრახოვასთან თავის სასარგებლოდ დაამთავრა და ტურნირის უნივერსიადის გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა.

ი. რიაზანოვა ახლა 28 წლისაა. იგი წარმატებით გამოდის მთელ რიგ შეჯიბრებებზე. ირინე მოსკოვის ორი საერთაშორისო ტურნირის, ბუქარესტის საერთაშორისო, საბჭოთა კავშირის და ჩოგბურთელთა სხვა დიდი ტურნირების ჩემპიონია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმრები



თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ტევა არ არის. განსაკუთრებით ბევრია ახალგაზრდობა. ეს გასაგებიცაა — დღეს მათი ტოლები ეჯიბრებიან ერთმანეთს. სავარჯიშოდ გამოდის სპორტის ოსტატი ნელი სალაძე.

ვარჯიშის საბოლოო შეფასებამ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ ნელი სალაძეს სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრებაზე პირველი ადგილი მოუტანა. მან პირველად გაიმარჯვა საკავშირო მასშტაბის დიდ შეჯიბრებაზე მხატვრულ ტანვარჯიშში.

ი. იუნაევი

ფოტო ავტორის.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# თქვენი საშინაო სახელოსნო

თანამედროვე მეცნიერება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, თუ რა პირობებში ხდება საჭმლის მიღება. მსუყე, უგემრიელესი კერძი შეიძლება სულ უმადოდ შეჭამოთ და არც დაკმაყოფილოთ, თუ ოთახი, სადაც სადილობთ, არეულია და მაგიდაზეც ყველაფერი მიყრილ-მოყრილია.

ამიტომ სამზარეულოს მოწყობას და სისუფთავეს აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ხოლო თუ სამზარეულოთი ერთი კი არა, რამდენიმე ოჯახი სარგებლობს, მასში კიდევ უფრო მეტი წესრიგი უნდა იყოს დამყარებული.

სამზარეულო ერთგვარი სახელოსნოა და

სამუშაოდან დაბრუნებისთანავე თქვენ აიფარებთ წინსაფარს და სამზარეულოში დატრიალდებით. ამზადებთ საჭმელს, აუთოებთ, რეცხავთ, აკერებთ. გინდათ, ყველაფერი რაც შეიძლება უკეთ და მალე გააკეთოთ, რომ დაგრჩეთ დრო საკითხავად, კინოში წასასვლელად და ოჯახის წევრებთან სასაუბროდ.

ამ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით ერთ და ოროთახიან ბინებში, სულ უფრო ხშირად აერთიანებენ სამზარეულოსა და სასადილოს. ეს დიასახლისს დროსაც უზოგავს — აღარაა საჭირო მაგიდის გასაწყობად სამზარეულოსა და ოთახებს შორის სიარული და ოთახებში სისუფთავის დაცვასაც უწყობს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასში შრომის სწორად განაწილება ბევრად შეუმსუბუქებს ჯაფას დიასახლისს.

ყველა დიასახლისს უნდა ჰქონდეს სამზარეულოში თავისი სამუშაო მაგიდა, განჯინა, აგრეთვე კედელზე დასაკიდი განჯინა და თაროები. კედელზე განჯინები და თაროები ისე უნდა დაიკიდოს, რომ დიასახლისს არ დასჭირდეს ხშირი დაღუნვა ან შორს დადებული რაიმე ნივთისკენ გაწევა.

მაგიდის სიმაღლე უნდა იყოს 85 სმ, სიგანე კი 55-60 სმ (მაღალი მაგიდის ფეხები შეიძლება გადაიხერხოს, ხოლო დაბალს ქვეშიდან რაიმე შეჰუდგოთ). კედლის განჯინის სიღრმე 30-35 სმ იქნება. ყველაზე დაბალი თარო უნდა ეკიდოს 40-50 სმ სიმაღლეზე, ყველაზე ზევითა კი 180-190 სმ სიმაღლეზე.

ადამიანი სწრაფად იღლება, თუ ის უხერხულ მდგომარეობაში მუშაობს. ზოგჯერ დიასახლისებს ავიწყდებათ, რომ სამზარეულოში სამუშაო შეიძლება დამჯდარმა შეასრულოს. ამისათვის კარგი იქნება თუ სამზარეულო მაგიდაში ან განჯინაში მოვაწყობთ გამოსაწევ ფიცარს იატაკიდან ასე 65-70 სმ სიმაღლეზე. თუ არა და დავდგათ ამ სიმაღლის ტაბურეტი. პირველ ხანებში შეიძლება გვეუხერხულოს კიდეც ჯდომით ჭურჭლის რეცხვა, ცომის გაბრტყელება ან ბოსტნეულის წმენდა, მაგრამ შემდეგ შევეჩვევით და ნაკლებ დავიღლებით.

კიდევ როგორ გავიიოლოთ შრომა სამზარეულოში? პირველ რიგში უნდა მოვაწყოთ ჭურჭლისა და ბოსტნეულის სარეცხი ბაკანი (რაკოვინა), მაგრამ ამ ბაკანში არ შეიძლება ჭუჭყიანი ნარეცხისა და საჭმლის ნარჩენების გადაღვრა — ცხიმი მილში დაილექება, შემდეგ გაიხრწნება და ცუდ სუნს დააყენებს. ჭურჭლისა და ბოსტნეულის სარეცხი ბაკანი დღეში ორჯერ უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით, რომ მილებში დალექილი ცხიმი გაადნოს. ბაკანის ზევით კედელზე უნდა დავამაგროთ თარო, რომელზეც მოვათავსებთ ჭურჭლის საშრობ ჩარჩოს და შევინახავთ სარეცხ ჩვარს, ღრუბელს, ჯაგრისს.

მაგიდის თავზე დაკიდებულ განჯინაში შეინახება მაგიდის საწმენდი ტილო, ნამცეცების გადმოსაფერთხი ჯაგრისი, აქვე, გამოსაწევ უჯრებში ან სპეციალურ ქილებში შევინახავთ ხშირად სახმარ პროდუქტებს: მარილს, შაქარს, სანელებლებს, ჩაის და სხვა.

სამზარეულოში უნდა ინახებოდეს ყოველდღიურად სახმარი ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, მშრალი პროდუქტები — ბურღულეული, მაკარონი და სხვა. მალფუჭებადი პროდუქტები მაცივარში შეინახეთ (რომელიც, რა თქმა უნდა, სამზარეულო ოთახს უფრო უხდება, ვიდრე სასტუმროს).

რაც უფრო ახლო დგას ერთმანეთთან მაგიდა, ქურა და ბაკანი, მით უფრო ნაკლები სიარული მოგიწევთ სამზარეულოში და მით უფრო მალე მორჩებით საქმეს. უმჯობესია, მაგიდა ქურასა და ბაკანს შორის დაიდგას. თუმცა, ეს ყველაფერი დამოკიდებულია სამზარეულოს ფართობზე. მაგიდას შუქი მარცხნიდან უნდა სცემდეს.






კარგია, რომ სამზარეულოს კედელი იატაკიდან დაახლოებით 1,6-2 მეტრის სიმაღლეზე მოვაპირკეთოთ კაფელით, ხოლო თუ ამის საშუალება არ არის, მოვაპირკეთოთ კედელი ონკანთან და ქურასთან მაინც. კაფელის კედელი კარგად ირეცხება და სამზარეულოს კრიალი გააქვს. კაფელის მაგივრად შეიძლება კედლები შევღებოთ ზეთის საღებავით.

სამზარეულოს კედლები და ავეჯი უნდა შეიღებოს თეთრად, კრემისფრად, ნაცრისფრად და სხვა ღია ფერად.

კარგია იატაკზე ლინოლეუმის დაგება. ჭერზე დაკიდული ნათურა არაა საკმარისი საღამოობით სამზარეულოში სამუშაოდ. ამიტომ, მაგიდის თავზე, კედელზე უნდა დამაგრდეს სპეციალური ბრა.

აი, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენს საოჯახო სახელოსნოში შრომის გასაადვილებლად.

# ეპიდემიური ჰეპატიტი

## (ბოტკინის სნეულება)

ეპიდემიური ჰეპატიტი ინფექციური სნეულებაა, რომელიც უფრო ხშირად ბავშვებს ემართებათ. დაავადების გამომწვევია უმცირესი მიკრობი — ფილტრში გამავალი ვირუსი. ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ადამიანი, რომელიც გამოჰყოფს ვირუსს განავალთან და შარდთან ერთად.

თუ ავადმყოფი ან მისი მომვლელი არ იცავს პირადი ჰიგიენის წესებს, მათ შეუძლიათ ვირუსი გადაიტანონ საკვებ პროდუქტებზე, გააბინძურონ წყალი, ჭურჭელი, წიგნები, სათამაშოები და სხვა საგნები. ამ გზით ვირუსი შეიძლება მოხვდეს ჯანმრთელი ადამიანის პირის ღრუში და გამოიწვიოს დაავადება. ეპიდემიური ჰეპატიტის გავრცელებას ხელს უწყობენ ბუზები, რომლებსაც გადააქვთ ვირუსი ავადმყოფის განავლიდან საკვებ პროდუქტებზე.

ვინაიდან ვირუსი არის ავადმყოფის სისხლშიც, ინფექცია შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე სისხლის გადასხმით, ცუდად გამოხარშული ნემსებით, შპრიცებით და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ინფექცია შესაძლოა ჰაერის გზითაც გავრცელდეს. რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზითაც არ უნდა შეიჭრას ეპიდემიური ჰეპატიტის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში, ის საბოლოოდ გადადის სისხლში და სისხლის საშუალებით მიიტანება სხვადასხვა ორგანოებში. ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ვირუსი ნახულობს ღვიძლში. ამიტომ ამ დაავადების დროს ძირითადად ღვიძლი ზიანდება.

ადამიანის ორგანიზმში ვირუსის შეჭრიდან დაავადების გამომჟღავნებამდე გარკვეული დრო გაივლის. ამ დროს ეწოდება ფარული ანუ ინკუბაციური პერიოდი. ფარული პერიოდის ხანგრძლივობა ეპიდემიური ჰეპატიტის დროს მერყეობს 10-50 დღემდე, ხოლო თუ ვირუსი სისხლში შეიჭრა, მაშინ ფარული პერიოდი შეიძლება 2-6 თვემდეც გაგრძელდეს.

დაავადება იწყება თანდათანობით, იგრძნობა მოდუნება, მადის დაქვეითება, გულისრევა, ზოგჯერ პირღებინება, ყრუ ტკივილი გულის კოვზთან, თავის ტკივილი, კანის ქავილი. ზოგ შემთხვევაში ტემპერატურა მომატებულია.

ხშირად დაავადების დასაწყისი მოგვაგონებს გრიპს ან .რევმატიზმს. ამ დროს ავადმყოფს ჯერ კიდევ არა აქვს სიყვითლე. 4-6 დღის შემდეგ თანდათანობით შემპარავად ვითარდება სიყვითლე ჯერ თვალებში, შემდეგ ტანზე. სიყვითლის გამოვლინებამდე 2-3 დღით ადრე აღინიშნება შარდის გამუქება. სიყვითლის ინტენსიობა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე. სიყვითლე შეიძლება გაგრძელდეს 1 კვირიდან 2-3 თვემდე.

ეპიდემიური ჰეპატიტი სიყვითლის პერიოდში შეიძლება გართულდეს ღვიძლის მწვავე დისტროფიით. ეს ძალზე სახიფათო გართულებაა და ხშირად სიკვდილით მთავრდება.

ზოგჯერ ეპიდემიური ჰეპატიტის გადატანის შემდეგ აღინიშნება დაავადების შებრუნება ანუ რეციდივი, რომელიც ჩვეულებრივ უფრო მსუბუქად მიმდინარეობს, შესაძლოა რამდენიმე რეციდივი იყოს. ხშირი რეციდივების შედეგად, ან ზოგჯერ რეციდივების გარეშეც, შესაძლოა დაავადება გადავიდეს ქრონიკულ ფორმაში, რაც ხშირად ციროზით მთავრდება. ღვიძლის ციროზი სერიოზული დაავადებაა. ციროზის დროს სიყვითლე ხან მცირდება, ხან მატულობს. ვითარდება წყალმანკი, სისხლის დენა საჭმლის მომნელებელი ორგანოებიდან და ავადმყოფი იღუპება რამდენიმე წლის განმავლობაში.

აღნიშნული გართულებების განვითარებას ხელს უწყობს რეჟიმის და დიეტის დარღვევა, უგეგმო ან გვიან დაწყებული მკურნალობა.

ისეთი მძიმე გართულებების თავიდან ასაცილებლად, როგორიცაა ღვიძლის დისტროფია და ციროზი, საჭიროა ეპიდემიური ჰეპატიტის პირველი ნიშნების გამომჟღავნებისთანავე მიმართოთ ექიმს. ავადმყოფი მაშინვე უნდა მოთავსდეს საავადმყოფოში. საავადმყოფოში უფრო ადვილია ამ სახიფათო გართულებების პირველივე სიმპტომების აღმოჩენა და სასწრაფო ზომების მიღება.

ეპიდემიური ჰეპატიტის დროს, მედიკამენტებით მკურნალობის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს რეჟიმის და დიეტის დაცვას.

ავადმყოფი უნდა იწვეს, სანამ სიყვითლე არ გაუვლის, საკვებიდან რეკომენდებულია: ხაჭო, ჭყინტი ყველი, მაწონი, ნედლი მოხარშული თევზი, მოხარშული ქათმის ან საქონლის ხორცი, რძის და ბოსტნეულის სუფები, ფაფები, თეთრი პური, შაქარი, კომპოტი, კისელი, ხილი, ასკილის ნაყენი, სტაფილოს წვენი, მურაბა, თაფლი, მარმალადი, ხილის კანფეტები, ცხიმებიდან — მხოლოდ არაჟანი და კარაქი დღეში არა უმეტეს 40-50 გრამისა.

საჭიროა დიდი რაოდენობით სითხის მიღება წყლის, ჩაის, ბორჯომის წყლის, ხილის წვენის და კომპოტის სახით.

ავადმყოფებს უნდა აეკრძალოს მსუქანი ხორცი, აგრეთვე ღორის, ცხვრის, ბატის და იხვის ხორცი, ძეხვეული, დამარილებული და შებოლილი თევზი, კონსერვები, შაქარლამა, ტორტი, შოკოლადი, კაკაო, ალკოჰოლი.

ასეთივე დიეტა უნდა დაიცვას ავადმყოფმა საავადმყოფოდან გაწერის შემდეგაც 6 თვის განმავლობაში.

დაავადების გადატანიდან 3-6 თვის განმავლობაში უკუნაჩვენებია სპორტი და ფიზიკური დატვირთვა. ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფი თვეში ერთხელ უნდა გაესინჯოს ექიმს, რომ გაიგოს დაუბრუნდა თუ არა ღვიძლი ნორმას, აღსდგა თუ არა ღვიძლის ფუნქცია, ხომ არ იწყება დაავადების რეციდივი და სხვა.

ეპიდემიური ჰეპატიტი საკმაოდ სერიოზული დაავადებაა და მას შეიძლება არასასიამოვნო და მძიმე გართულებები მოჰყვეს, თუ ავადმყოფი დროზე არ მიმართავს ექიმს და არ შეასრულებს მის რჩევა-დარიგებას.

**თ. ბებია,**

ქალაქის მთავარი ეპიდემიოლოგი.

# ბურღული, მაკარონი და მაკარონის ნაწარმი

ბურღულისაგან, მაკარონისაგან და მაკარონის ნაწარმისაგან მრავალი სახის საჭმელი მზადდება, როგორც ცალკე კერძის, ისე საკაზმის (გარნირის) — ძირითად კერძთან მისატანი საჭმლის სახით.

ბურღულს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კვებისათვის. ის დიდი რაოდენობით შეიცავს სახამებელს, ცილას და აგრეთვე $B_1$ $B_2$ და PP ჯგუფის ვიტამინებს. ვიტამინებით განსაკუთრებით მდიდარია შვრიისა და წიწიბურას ბურღული. ყველაზე უფრო ადვილად ინელებს და ითვისებს ადამიანის ორგანიზმი ბრინჯსა და მანანის ბურღულს და ამიტომ ისინი ფართოდ გამოიყენება დიეტურ და ბავშვთა კვებისათვის.

ბურღულისაგან მომზადებული საჭმელი განსაკუთრებით კარგია იმათთვის, ვისაც წონაში მომატება ესაჭიროება. გარდა აღნიშნულისა, იგი მაძღრისია და ამიტომ რეკომენდებულია პირველი საუზმისათვის.

ბურღული გამომუშავდება მარცვლეულისაგან და არის სხვადასხვაგვარი. მაგალითად, მანანის ბურღული, პოლტავის ბურღული, არტეკის ბურღული წარმოადგენს განსაზღვრული წესით დამუშავებულ ხორბალს; ქერის მარცვლის დამუშავებით მიიღება ქერის ღერღილი და ქერის ბურღული; წიწიბურას მარცვლიდან მიიღება წიწიბურას ბურღული; ფეტვის მარცვლის დამუშავების შედეგად მიიღება გაშალაშინებული და ცეხვილი ბურღული. შვრიის მარცვლიდან მზადდება დამსხვრეული და დაუმსხვრეველი ბურღული, ჰერკულესი და ტოლოკნო; ბრინჯის მარცვლიდან მიიღება გაშალაშინებული, გაპრიალებული და დამსხვრეული ბრინჯი, სიმინდისაგან მიიღება სიმინდის ბურღული და სიმინდის ფიფქი.

ბურღულისაგან მზადდება სხვადასხვანაირი ფაფა, კატლეტი, ბიტკი, ოლადი, კლიოცკი, მობრაწულა და სხვა.

ხარშვის წინ ბურღული უნდა გადაირჩეს, გაიცრას და როგორც წესი, გაირეცხოს. თუ ბურღული დაქუცმაცებული მარცვლებისგანაა შემდგარი (მანანის ბურღული, ჰერკულესი და სხვა ამგვარი), ის არ უნდა გაირეცხოს. ბრინჯი და სხვა ბურღული ორ-სამჯერ ირეცხება წყალში. განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა გაირეცხოს ფეტვის ბურღული, ვინაიდან ის შეიცავს ისეთ ნარევს, რომელიც მას მწარე გემოს აძლევს.

უფქვავი ბურღული ხარშვის წინ შეიძლება მოიხალოს, ამისათვის ის დაიყრება ტაფაზე 4-5 სანტიმეტრის სისქით (ტაფას წინასწარ წასმული აქვს ცხიმი—5% ბურღულის წონასთან შედარებით) და მოიხალება, სანამ ყავისფერი არ გახდება. ბურღულის წონა მოხალვისას კლებულობს 10—11%-ით, სინოტივის აორთქლების ხარჯზე.

ფაფა მზადდება სხვადასხვა ბურღულისაგან. ბურღული იხარშება წყალზე, ბულიონზე (ხორცის, სოკოს, ბოსტნეულის), რძეზე და წყალნარევ რძეზე.

ფაფის მოსახარშად არ არის რეკომენდებული მომინანქრებული ქვაბის ხმარება, ვინაიდან ფაფა მის ძირზე მიიწვება და ჭურჭელი ზიანდება.



როგორც წესი, ფაფის მოხარშვისას ბურღული უნდა ჩაიყაროს მდუღარე მარილწყალში; ხარშვა წარმოებს ნელ ცეცხლზე.

მდუღარე მარილწყალში ბურღულის ჩაყრისას ფაფის საგემოვნო თვისებების და აგრეთვე გარეგანი შესახედაობის გასაუმჯობესებლად შეიძლება განკუთვნილი ცხიმის რაოდენობის 1/4 წინასწარ ჩავუმატოთ.

ფაფა მზადდება: ფანტია, წევადი, ნახევრად წევადი და ნახევრად თხიერი.

**ფანტია ფაფა.** ფანტია ფაფა იხარშება ბრინჯის, ფეტვის, წიწიბურას, ქერის და სხვათა ბურღულისაგან. ასეთი ფაფა წყალზე იხარშება, მხოლოდ ბრინჯისა — ზოგიერთ კერძთან საკაზმის (გარნირის) სახით მისატანად — ბულიონზე მზადდება.

ფანტია ფაფისათვის წყალი ისეთი რაოდენობით უნდა ავიღოთ, რომ ის სავსებით შთანთქას გაფუებულმა მარცვალმა. 1 კილოგრამ ბურღულზე უნდა ავიღოთ 1,5-2 ლიტრი სითხე. წინასწარ გათვალისწინებული სითხის რაოდენობა ჩაისხმება ქვაბში, დაემატება მარილი, ზოგჯერ ცხიმიც, დაიდგმება ცეცხლზე და ადუღდება. მერე მდუღარე სითხეში ჩაიყრება ბურღული და ადუღების მომენტიდან იდუღებს 5 წუთს. ამის შემდეგ შენელდება ცეცხლის სიმხურვალე და განვაგრძობთ ხარშვას იქამდე, სანამდე მზად არ იქნება. ერთი შენიშვნა: წიწიბურას ფაფას მოხარშვისას არ უნდა მოურიოთ.

ფაფა რომ კარგად ჩაიხარშოს, ქვაბს მჭიდროდ უნდა დაეხუროს სახურავი. უკეთესია, თუ ფაფიან ქვაბს ცხელწყლიან ქვაბში ჩავდგამთ ან ღუმელში მოვათავსებთ.

ფანტია ფაფა სუფრაზე მიიტანება ცალკე, დამოუკიდებელ კერძად, გამოიყენება აგრეთვე საკაზმად ცხელ ხორცეულთან, თევზეულთან და ბოსტნეულის კერძებთან; გარდა ამისა, იხმარება სხვადასხვა სატენის მოსამზადებლად.

წევადი და ნახევრად წევადი ფაფა მზადდება ყოველნაირი ბურღულისაგან. სითხედ გამოიყენება წყალი, ბოსტნეულის ან ხილის ნახარში, რძე და წყალნარევი რძე. 1 კილოგრამ ბურღულზე აიღება 2,5-3,5 ლიტრი სითხე და მოიხარშება პერიოდული მორევით. შემდეგ დაემატება რძე, მარილი, ცხიმი, ცეცხლი შენელდება და მოიხარშება მზადყოფნამდე. ბრინჯის და ქერის ბურღულისაგან რძიანი ფაფის მოსახარშად ბურღული ჯერ მდუღარე წყალში ჩაიყრება და იხარშება 4-7 წუთს, შემდეგ კი წყალი გადაიღვრება, დაესხმის ცხელი რძე და იხარშება, სანამ მზად არ იქნება.

**მაკარონი და მაკარონის ნაწარმი.** მაკარონი და მაკარონის ნაწარმი მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტია, ის დიდი რაოდენობით შეიცავს ნახშირწყალს და კარგად ითვისებს ადამიანის ორგანიზმი. აღნიშნული ნაწარმი თავისი ღირსშესანიშნავი თვისებების გამო ფართოდ გამოიყენება ბავშვთა კვებაში და აგრეთვე იმათთვის, ვისაც წონაში მომატება სურს. მსუქანმა ადამიანმა მაკარონი ნაკლებად უნდა მიიღოს.

მაკარონის ნაწარმი შემდეგი სახისაა: მილისებური მაკარონი, ვერმიშელი, ატრია, ფიგუროვანი, რომელსაც სხვადასხვა ფორმა აქვს (მარცვლის, ასოების, ვარსკვლავისა და სხვა).

ხარშვის წინ მაკარონი და მაკარონის ნაწარმი გადაირჩევა, გრძელი მაკარონი დაიმტვრევა 5-7 სანტიმეტრის სიგრძეზე.

მაკარონი და მისი ნაწარმი იხარშება ორი წესით:

პირველი წესით — ბლომად წყალში. წყალი ხარშვის დასრულების შემდეგ გადაიღვრება. გადარჩეული მაკარონი და მისი ნაწარმი ჩაიყრება მდუღარე მარილწყალში და მოიხარშება პერიოდული მორევით, სანამ არ დარბილდება. წყალი უნდა ავიღოთ 2 ჩაის ჭიქა ყოველ 100 გრამ მაკარონზე, მარილი კი — 1/2 ჩაის კოვზი (5 გრამი). მაკარონის ხარშვის ხანგრძლიობა 30-35 წუთია, ატრიისა — 20-25 წუთი, ვერმიშელისა — 12-15 წუთი.

მოხარშული მაკარონი და მაკარონის ნაწარმი გადაიტანება საცერზე ან თუშფალანგზე, სანამ ნახარში სითხისაგან არ დაიწრიტება. მაკრონი და მაკარონის ნაწარმი შეგრილებამდე უნდა შეზავდეს. ვინაიდან მაკარონის და მისი ნაწარმის ხარშვის დროს მოსახარშ წყალში გადადის სხვადასხვა ნოყიერი ნივთიერება (შაქარი, სახამებელი, აზოტოვანი და მინერალური ნივთიერებანი), ამიტომ ნახარში უნდა გამოვიყენოთ პიურესმაგვარი წვნიანი კერძებისა და საწებლებისათვის.

მეორე წესი: გასუფთავებულ მაკარონსა და მის ნაწარმს დაესხმის წყალი იმ ვარაუდით, რომ მან მთლიანად შეისრუტოს სითხე. ესე იგი, მაკარონი და მაკარონის ნაწარმი წყლით უნდა გაფუვდეს. ამ წესით მოხარშვისას 100 გრამ მაკარონზე უნდა ავიღოთ 1 ჩაის ჭიქა წყალი.

მაკარონი და მაკარონის ნაწარმი ჩაიყრება მდუღარე მარილწყალში და ხანგამოშვებითი მორევით იხარშება 20 წუთს. შემდეგ ქვაბს სახურავი დაეხურება და ჩასახარშად გაჩერდება ნელ ცეცხლზე 15-20 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ მაკარონი შეზავდება.

ხარშვის დროს მაკარონი და მისი ნაწარმი მატულობს 150 პროცენტით. მაკარონისა და მაკარონის ნაწარმისაგან მზადდება სხვადასხვა გემრიელი კერძი, რომელიც ამავე დროს ნოყიერიცაა. გარდა აღნიშნულისა, ის გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა ხორცეული კერძის საკაზმად. თევზეულ კერძთან მაკარონის და მისი ნაწარმის გამოყენება საკაზმად არ არის რეკომენდებული.

მოხარშული მაკარონი და მისი ნაწარმი მზადდება ცხიმით, დაფხვნილი ყველით, პამიდვრით, სოკოთი, ხაჭოთი და ხორცეულით.

**თამარ სულაქველიძე**

გარეკანის პირველ გვერდზე—
ლ უ ი ზ ა დ ა ვ ი თ ა ძ ე.
გარეკანის მეოთხე გვერდზე—
ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი.
ფოტო დ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ტექ. რედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/X-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 1788 უე 03275

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მუსიკა **ს. მირიანაშვილის**

ტექსტი **შ. ამირანაშვილის**

# ჩემო სამშობლოვ!



ჩემო სამშობლოვ, ძლევამოსილო,
სახელგანთქმულო გმირთა დიდებით,
მხარევ, წარმტაცო და სანუკვარო.
დიად მომავლის შუქით ბრწყინდები.

შენდამი ტრფობა და სიყვარული
გულის სიღრმეში ჩასახულია,
მეწამულ დროშით აყვავებული
შენი სიცოცხლის გაზაფხულია.

ბედნიერების სხივი გფენია
ქვეყანავ, შლილო ია-ვარდებად,
დაე, ისმოდეს იავნანა და
მრავალჟამიერ ძლევის ჰანგებად.







ნ. 78/361



ეროვნული ბიბლიოთეკა